# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



დავით უსუფაშვილი: „აქტიურად მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას“

გვ.3

12 აპრილიდან

ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



შაბათი – კვირა, 15 – 16 აპრილი, 2017 №89 (7324) ფასი: 50 თეთრი

# ნინო კალანდაძე: „ნაციონალები ბიძინა ივანიშვილის ღეღვის ფოთოლი არ ვიქნებით“

„ვენეციის კომისიის შესაძლებლობები შეზღუდულია, თუმცა, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტის არჩევნების ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით ისინიც მკაფიო პოზიციას დააფიქსირებენ და ეს ბოიკოტის რეჟიმი მათაც მისცემს შესაძლებლობას, თავიანთი უარყოფითი პოზიცია უფრო მკაფიოდ დააფიქსირონ“



გვ.2

## ირმა ინაშვილი ლევან ბერძენიშვილს – მშვიდობით, ლეო!



„რესპუბლიკური პარტია ბოკერიას დაკრულზე ცეკვავს“



გვ.3




დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბინადრობის მაძიებლები შარჯა-თბილისის რეისს მოჰყვებიან"

გვ.4

## „არაბები საქართველოში ბინადრობის უფლებას 35 ათას დოლარად ყიდულობენ“



გვ.3

## სოსო ცინცაძე: „თუ არასამთავრობოები კომისიას დატოვებენ, ეს კონსტიტუციაზე დიდი დარტყმა იქნება“

## ანატოლი ბიბილოვი: „ჩვენ ფაქტობრივად უკვე რუსეთში ვართ“



გვ.5

რატომ შეცვალეს ცხინვალში ინაუგურაციის ადგილი და თარიღი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## სერგეი ლავროვი ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვევა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს სამუშაო ვიზიტით აფხაზეთს ეწვევა. 18 აპრილს, მინისტრი მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთში რუსეთის საელჩოს ახალი შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიაში. 19 აპრილს სოხუმში სერგეი ლავროვსა და აფხაზეთის პრეზიდენტს შორის მოლაპარაკებები გაიმართება.

გვ.2



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნინო კალანდაძე: „ნაციონალები ბიძინა ივანიშვილის ლელვის ფოთოლი არ ვიქნებით“

ნონა ცაბაძე

**არასაპარლამენტო ოპოზიცია საკონსტიტუციო კომისიას ნელ-ნელა ტოვებს. კომისია ნაციონალურმა მოძრაობამაც დატოვა. როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნინო კალანდაძე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, მათ არ სურთ, ბიძინა ივანიშვილის ლელვის ფოთლის როლი შეასრულონ.**

***— ნინო, ხელისუფლებისთვის გაუგებარია, მაინცდამაინც მუშაობის მიწურულს რატომ დატოვეთ კომისია? თუ მიუღებელი იყო თქვენთვის ეს ცვლილებები, სად იყავით აქამდე?***

— რატომ მიწურულს? მოდით, ასე ვთქვათ: ეს კომისია რომ შეიქმნა, იმთავითვე არავინ განსაკუთრებული ილუზიებით არ იკვებებოდა, რომ ეს კომისია ქმედითი იქნებოდა ან რაიმე სახით ოპოზიციის მოსაზრებები იქნებოდა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს უნდოდა და ვერ განახორციელა მხოლოდ იმის გამო, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ჩვენ გვახსოვს ის მეთოდები, რომლებითაც ის ცდილობდა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების გადაბირებას და ნაწილი გადაიბირა კიდეც. ეს თავისი ახირებების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა.

***— რა იყო მისი ახირებები?***

— ეს იყო ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანა და წინა ხელისუფლების სამართლებრივი დანატოვარის გაუქმება, მეორე მხრივ, თავისი ძალაუფლების განმტკიცება და ხელისუფლების უზურპაცია კანონიერი გზით. ეს გულისხმობს საარჩევნო სისტემის შეცვლას, სასამართლო ხელისუფლების მთლიანად საკანონმდებლო დონეზე დაქვემდებარებას ერთპიროვნული მმართველობის ქვეშ და საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმებას.

***— უმრავლესობა აცხადებს, რომ არ არის გადაწყვეტილი, პრეზიდენტის არჩევის წესი 2018-ში შეიცვლება თუ შემდეგში. ეს რაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევა პრეზიდენტი, იმაზე?***

— ეს მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ისინი რაღაც ფორმალობებს მაინც იცავენ, როგორც ეს საკონსტიტუციო კომისია შექმნეს იმისთვის, რომ თვალი აეხვიათ საზოგადოებისთვის. იქ შეიყვანეს ენჯეოები და ოპოზიციის წარმომადგენლები, თითქოს აინტერესებდათ მათი აზრი. ეს ხდება იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას აჩვენონ, თითქოს დაინტერესებულნი არიან კონსტრუქციული დოკუმენტის მიღებით.

***— სინამდვილეში სხვა რამ ხდება?***

— რა თქმა უნდა! სინამდვილეში სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ არცერთი შენიშვნის გათვალისწინებას ისინი არ გეგმავენ. იმთავითვე წინასწარ გადაწყვეტილია, რა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება იგეგმება და ეს კომისია იყო ბუტაფორიულად შექმნილი! ოპოზიციურმა პარტიებმა და, პირველ რიგში, ნაციონალურმა მოძრაობამ არ უნდა დაინახოს თავისი როლი იმაში, რომ ლელვის ფოთლის როლი ითამაშოს იმ მავნებლური გეგმის განხორციელებაში, რომელსაც გეგმავს ბიძინა ივანიშვილი.

***— თავიდანვე ხომ არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ „ოცნება“ ოპოზიციის ინტერესს გაატარებდა? რატომ დათანხმდით კომისიის წევრობასა და მუშაობაში მონაწილეობას?***

— ცხადია, ამის ილუზია არ გვქონდა. ამ დროს საერთაშორისო



თანამეგობრობასთან თანამშრომლობის ფორმალურ მექანიზმსაც იყენებ ამით და იმედს იტოვებ, რომ შენ შეძლებ იქ, ასე თუ ისე, დეპუტატების იმ ნაწილზე მაინც იქონიო გავლენა, რომლებსაც კეთილგონიერების ნიშნები შერჩენია. ეს ყველაფერი მცდელობად მაინც ღირდა. ჩვენ ჩვენს პოლიტიკურ მოვალეობად მივიჩნიეთ, მონაწილეობა მიგვეღო და მცდელობა არ დაგვეშურებინა იმისთვის, რომ იქ ცვლილებების განხორციელება შეგვძლებოდა. როდესაც დავინახეთ, რომ ამის თეორიული პერსპექტივაც კი აღარ არსებობს, კომისია დავტოვეთ.

***— რამდენად გაიარეთ კონსულტაციები პრეზიდენტთან, როგორც ამას პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს? მარგველაშვილმა გირჩიათ კომისიის დატოვება?***

— პრეზიდენტთან საერთოდ არ ყოფილა ამ თემაზე კონსულტაციები, უფრო მეტიც, ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არავისთან კონსულტაცია არ გვჭირდება.

***— როგორია თქვენი პარტიის დამოკიდებულება მარგველაშვილისადმი?***

— ნაციონალური მოძრაობისთვის სასურველ კანდიდატს მოქმედი პრეზიდენტი არ წარმოადგენს. ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ იგი საკმარისად ქმედითია, პირიქით, ის არანაირად ქმედითი არ არის და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სათანადო ოპონირებას ვერ უწევს. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ასეთი სუსტი პრეზიდენტიც კი, მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელ ინსტიტუტად არსებობდეს და, რაც მთავარია, ხალხს ჰქონდეს უფლება, თავისი პრეზიდენტი თავადვე აირჩიოს და არ დაგვინიშნოს ბიძინა ივანიშვილმა და მისმა 20-მა კაცმა.

დღეს მთავარი საკითხი დგას დღის წესრიგში, რამდენად იქნება ლეგიტიმური მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები, იქნება ეს უკანონოდ შექმნილი კონსტიტუციური უმრავლესობის მიერ დანიშნული პრეზიდენტი თუ ეყოლება ქვეყანას დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ფორმალურად მაინც შეძლებს, დააბალანსოს სხვა შტოები და ტოტალური ძალაუფლების უზურპაციისგან დაიცვას ქვეყანა.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ თუ გვაქვს საპარლამენტო მოდელი, პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ამას რით უპასუხებთ?***

— საპარლამენტო მოდელის არსებობა თვითმიზნური საერთოდ არ არის. ეს მოდელი იმიტომ იქნა შემუშავებული, რომ არსებობდეს უფრო მკაფიო ბალანსი სახელისუფლებო შტოებს შორის, მით უმეტეს ოლიგარქიული მმართველობის პირობებში.

ჩვენ ბიძინა ივანიშვილი მოგვწონს თუ არა, ყველა კვლევა ცალსახად ადასტურებს და ერთ პროცენტსაც არ ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი მართავს დღეს საქართველოს მთავრობასა და ქართულ პოლიტიკას. ამ პირობებში, როდესაც ოლიგარქიული მმართველობის დაკანონების ძალიან სერიოზული საფრთხე დგას, აშკარაა, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმება მხოლოდ დამღუპველი შეიძლება იყოს ქართული დემოკრატიისთვის. აქ ჩვენ პირდაპირი არჩევის წესი გვაქვს.

***— კონსტიტუციიდან ასევე ამოვარდება ფრაზა, თუ სად უნდა მდებარეობდეს პარლამენტი. ეს რას ნიშნავს, რომ პარლამენტი ქუთაისში აღარ იქნება?***

— ეს ნიშნავს იმას, რასაც ცდილობდა ივანიშვილი 2012 წელს სრულიად უარგუმენტო ახირებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ აშენებული პარლამენტი. დღეს ცდილობენ პარლამენტის თბილისში გადმოტანას. დეპუტატებსაც ეს ხელს აძლევთ.

***— რა თვალსაზრისით? ეზარებათ ქუთაისში სიარული?***

— იმ თვალსაზრისით, რომ მათ ეზარებათ თავიანთი მოვალეობის შესრულება და ქუთაისში სიარული. ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტი რეგიონული განვითარებისთვის და დამატებითი საბიუჯეტო ხარჯია. მოგვწონს თუ არა, პარლამენტი უკვე ქუთაისშია. მისი გაუქმება და აქეთ გადმოტანა, როდესაც ამხელა რესურსი აქვს გაწეული სახელმწიფოს, მხოლოდ მავნებლური ქმედებაა!

ეს ყველაფერი ემსახურება ერთი კაცის ახირების დაკმაყოფილებასა და ამისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას. აბსურდამდეა დაყვანილი ყველაფერი.

***— საუბრისას თქვით, რომ არ გინდოდათ ამ პროცესში ლელვის ფოთლის როლის შესრულება. რას იზამს დანარჩენი ოპოზიცია, დატოვებს კომისიას?***

— რამდენადაც ვიცი, 15-მა პარტიამ კომისია დატოვა. ვინც არ დატოვებს, ის შეასრულებს ლელვის ფოთლის როლს და იმთავითვე გარკვეული იქნება, რომ არის ის ოპოზიცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ოპოზიციად.

***— რას ელით ვენეციის კომისიისგან?***

— ვენეციის კომისიის შესაძლებლობები შეზღუდულია, თუმცა, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტის არჩევნების ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით ისინიც მკაფიო პოზიციას დააფიქსირებენ და ეს ბოიკოტის რეჟიმი მათაც მისცემს შესაძლებლობას, თავიანთი უარყოფითი პოზიცია უფრო მკაფიოდ დააფიქსირონ.

## მაია რჩეულიშვილს მეუღლის პანაშვიდსა და დაკრძალვაზე დასწრების უფლება მიეცემა

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე ბრალდებულ მაია რჩეულიშვილს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან, სავარაუდოდ, რამდენიმე საათით გამოუშვებენ. ვახტანგ რჩეულიშვილის გარდაცვალების გამო ადვოკატებმა სასჯელაღსრულებით დაწესებულებას უკვე მიმართეს, ჯერჯერობით უცნობია პასუხი უფლებადამცველების მი-



მართვაზე, თუმცა, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, გარკვეული პერიოდი მიეცემა საშუალება, მეუღლის პანაშვიდსა და დაკრძალვას დაესწროს.

## სტოლტენბერგი: „საქართველო შთამბეჭდავ რეფორმებს ახორციელებს“



— საქართველო შთამბეჭდავ რეფორმებს ახორციელებს, აძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ახდენს თავდაცვითი სტრუქტურების მოდერნიზებას და ებრძვის კორუფციას, — განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ელიოტის საგარეო საქმეთა სკოლაში სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, ყველაფერი ეს, თუნდაც გარკვეულწილად, საქართველოს ნატო-ს წევრობისადმი მისწრაფებას უკავშირდება.

— მე ყოველთვის ვუსვამდი ხაზს იმას, რომ მსგავსი რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვანია ნატო-სთან დასაახლოებლად, მაგრამ ამ მიზნის მიუხედავადაც უნდა ხდებოდეს კორუფციასთან ბრძოლა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, — აღნიშნა მან.

მისი თქმით, ნატო-ს კარები ღიაა და ნატო-ს გაფართოება აპლიკანტი ქვეყნისა და 28 (მალე 29) წევრი ქვეყნის გადასაწყვეტია და არავის აქვს უფლება ამაში ჩაერიოს.

## სერგეი ლავროვი ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვევა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს სამუშაო ვიზიტით ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვევა. აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მარია ზახაროვამ განაცხადა.

— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს სამუშაო ვიზიტით აფხაზეთს ეწვევა. 18 აპრილს, მინისტრი მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთში რუსეთის საელჩოს ახალი შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიაში. 19 აპრილს სოხუმში სერგეი ლავროვსა და აფხაზეთის პრეზიდენტს შორის მოლაპარაკებები გაიმართება, — განაცხადა მარია ზახაროვამ.

ზახაროვას თქმით, მოლაპარაკებების ფარგლებში მხარეები ორმხრივი ურთიერთობების ძირითად საკითხებს განიხილავენ, ასევე აფხაზეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისა და რუსეთ-აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის ურთიერთქმედების კოორდინაციის საკითხს.



## პატრიარქის პირადი დაცვის შემადგენლობა სდსს-ის დაქვემდებარებაში გადავიდა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პირადი დაცვის შემადგენლობა, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ნაცვლად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ექვემდებარება.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური აქამდე სამების ტაძარსა და საპატრიარქოს იცავდა, ხოლო პატრიარქის პირადი დაცვა შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ირიცხებოდა. 1 აპრილიდან კი პირადი დაცვის შემადგენლობაც სდსს-ს დაქვემდებარებაში გადავიდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „თუ არასამთავრობოები კომისიას დატოვებენ, ეს კონსტიტუციაზე დიდი დარტყმა იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოპოზიციის მიერ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დატოვების შედეგების შესახებ საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ოპოზიციური პარტიები არ გამორიცხავენ, რომ, ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, დატოვონ კომისია. რამდენად იქონიებს ეს გავლენას პროცესებზე?***

— მე გახლდით თავის დროზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი და ვიცი, რას ნიშნავს, როდესაც ოპოზიცია ბოიკოტის ნიშნად უარს ამბობს მონაწილეობაზე. ეს ძალიან ცუდი იქნება თვითონ კონსტიტუციისთვის, მისი ლეგიტიმაციისთვის, თანაც არც პრეზიდენტი და არც მისი ადმინისტრაცია კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნაში არ მონაწილეობენ, თუმცა აქ შეიძლება პოლიტიკური მანევრი განახორციელოს ხელისუფლებამ და თქვას, რომ ოპოზიციას განსხვავებული შეხედულებები აქვს და მან ამიტომ თქვა უარი, ერთი სიტყვით, პოლიტიკურ ორთაბრძოლაში გადაიყვანოს და ამით ჩააწყნაროს ოპოზიციის პროტესტი, მაგრამ ასეთი მარტივი ნამდვილად არ იქნება, თუ არასამთავრობო სექტორი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დატოვებს. ეს უკვე ძალიან ცუდი იქნება და აქ უკვე პოლიტიკური სვლები აღარ უშველით.

***— ხელისუფლებისთვის იქნება დარტყმა?***

— არა მხოლოდ, ეს უკვე იქნება კონსტიტუციისთვის სერიოზული დარტყმა. წარმოიდგინეთ, კონსტიტუციონალისტი, პროფესორი, რომელსაც მხოლოდ თავისი პროფესიონალიზმი აინტერესებს, რომ როგორმე კარგი, ჯანსაღი კონსტიტუციური ნორმა შესთავაზოს სახელმწიფოს და ის ვერ ხედავს თავის ადგილს კომისიაში.

ეს უკვე ძალიან მეტისმეტი იქნება. სწორედ ამას უნდა გაუფრთხილდეს ახლა ხელისუფლება.

***— რა შეიძლება, ამან გამოიწვიოს?***

— რადგან კონსტიტუცია დაწერა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიამ, ამიტომ ხელისუფლებას მოუწევს ბეწვის ხიდზე გავლა. კონსტიტუციას ლეგიტიმაცია სჭირდება. კი, აქვს ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში და კენჭსაც უყრის და მიიღებს, მაგრამ სახალხო ლეგიტიმაცია, იმის განცდა, რომ კონსტიტუცია ყველასია, არ არის ისე, უბრალოდ მოგონილი ამბავი.

ამერიკაში მართლაც ყველას აქვს განცდა, რომ კონსტიტუცია მისია. თომას ჯეფერსონის სიტყვები მახსენდება: ნახევრად ღმერთები წერდნენ ამერიკის კონსტიტუციას. როგორც ჩანს, მართლაც ასეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ რაღაც 26 თუ 28 დამატებაა შესული და არა — შესწორება.

რაც შეეხება დაგეგმილ საერთო-სახალხო განხილვებს, ეს რეფერენდუმის ჩრდილიც არ არის. ამიტომ ვამბობ, რასაც ვამბობ. ხელისუფლება კარგად უნდა დაფიქრდეს. ამიტომ ასეთ ვითარებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, რეალური ჩართულობა, მისი ინიციატივების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია, თუ, რასაკვირველია, დემოკრატიაზე, ხალხის საერთო მონაწილეობაზე ვსაუბრობთ.



პოლიტიკურ ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიდი განსხვავებაა. ეს უნდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ. ეს არის ძალიან დიდი მორალური ძალა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში. თუნდაც ვენეციის კომისიის თვალში ეს ძალიან სერიოზული ძალაა.

ქვეყნის მთავარმა დოკუმენტმა რომ იმუშაოს არა ძალდატანებით, არამედ საერთო თანხმობით, ამისთვის საჭიროა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსენსუსი. მე ვერ ვხედავ უმრავლესობიდან ამ მიმართულებით ელასტიკურობას.

***— კომუნიკაციის სურვილს სამოქალაქო საზოგადოებასთან?***

— დიახ, კომუნიკაციის სურვილს, სურვილს იმისა, რომ ეს დოკუმენტი რეალურად იყოს საერთო-სახალხო კონსენსუსის შედეგი.

***— რატომ?***

— პოლიტიკური გამოუცდელობა არის ერთ-ერთი მიზეზი. ზომაზე მეტად შეფასება საკუთარი ძალის, მისი ეფექტურობის. უმრავლესობას შეუძლია, არავის და არაფერს გაუწიოს ანგარიში და კონსტიტუცია მიიღოს, მით უფრო, მას აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, მაგრამ ეს, იცით, რა იქნება?! ადრე თუ გვიან ამ კონსტიტუციას მაინც შეცვლიან. ამიტომ, ყოველი ახალი პოლიტიკური ძალა რომ არ ცდილობდეს კონსტიტუციის შეცვლას, მის საკუთარ თავზე მორგებას, საჭიროა დიდი კონსენსუსის შედეგად მისი მიღება.

***— ერთ-ერთი გზა რეფერენდუმია?***

— რასაკვირველია. აბსოლუტურად გასაგებია პოლიტიკური დებატები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ამის გარეშე არც გამოვა, მაგრამ, როდესაც საქმე კონსტიტუციას ეხება, აქ დიდი შეთანხმების გარეშე არაფერი გამოვა.

დებატებს რომ ვუსმენ, ნაციონალები ხელისუფლებას აბრალებენ, რომ თქვენ ირგებთ კონსტიტუციას, ხელისუფლება კი ნაციონალებს პირიქით ეუბნება: თქვენ მოირგეთ კონსტიტუცია.

მე გახლდით მაშინ კომისიის წევრი და მშვენივრად ვიცი, ეს როგორ ხდებოდა, მაგრამ ვერა და ვერა გამოვიდა ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობა ამ არაცივილიზებული, ამ ძალიან მდაბიო ფორმულიდან. ეს არის სოფლის ორღობის დონის პოლიტიკა. მას არავითარი საერთო არ აქვს ცივილიზებული, დასავლური ტიპის პოლიტიკასთან, რომლის ხერხემალიც არის ღირსეული დებატები, სადაც წინა ხელისუფლების დანაშაული თუ შეცდომა არ არის მოქმედი ხელისუფლებისთვის ინდულგენცია.

თუ წინა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე მოირგო კონსტიტუცია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ხელისუფლებამაც მოირგოს საკუთარ თავზე. ამას ვერ ხვდებიან და ეს მე ძალიან მთრგუნავს, რადგან ასეთ მიდგომას ძალიან შორსმიმავალი შედეგები მოჰყვება.

წინა ხელისუფლების დანაშაული თუ შეცდომა ქართულ პოლიტიკაში გაუჭრელ კოზირის კარტად იქცა მოქმედი ხელისუფლებისთვის.

ქვეყნის კონსტიტუციის წერის პროცესში, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, დაწვრილმანება, საჩემო თუ სასხვისო, არავის გამოსდგომია და არც არავის გამოადგება.

## დავით უსუფაშვილი: „აქტიურად მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას“



დავით უსუფაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. მისივე თქმით, უკვე შერჩეულია კანდიდატიც. რაც შეეხება დეტალებს, როგორც პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ განაცხადა, დაახლოებით 10 დღეში ექნება პრესკონფერენცია, სადაც ყველა პოლიტიკურ საკითხზე ისაუბრებს და ყველა შეკითხვას გასცემს პასუხს.

— იმ ხალხთან ერთად, ვისთანაც მაქვს საუბარი, აქტიურად მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. ეს მონაწილეობა იქნება იმ კონტექსტში, რომ პოლიტიკური ძალა მოემზადება 2020 წლის არჩევნებისთვის, ასევე მერობის კანდიდატთან დაკავშირებით კანდიდატურად კონკრეტულ პიროვნებას დავასახელებ.

მე ვიქნები თუ სხვა, ამას მომავალში გაიგებთ. რაც შეეხება პარტიას, პარტიის მშენებლობის პროცესი ხანგრძლივი და სერიოზულია, მაგრამ ზოგადად პარტიის ფორმირების გრაფიკს, არჩევნებში მონაწილეობის ფორმას და მერობის კანდიდატს მალე პრესკონფერენციაზე დავასახელებ, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

**პირველი რადიო**

## ირმა ინაშვილი ლევან ბერძენიშვილს — მშვიდობით, ლეო!

### „რესპუბლიკური პარტია ბოკერიას დაკრულზე ცეკვავს“

შორენა მარსაგიშვილი

რესპუბლიკელებისა და პატრიოტთა ალიანსის დაპირისპირება განახლდა. მორატორიუმი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა დაარღვია.

გადაცემა აქცენტებში ბერძენიშვილმა პატრიოტთა ალიანსი პრორუსულ ძალად დაასახელა. ამ შეფასებამ პატრიოტებში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი მიიჩნევს, რომ მისი პარტიის წინააღმდეგ საბჭოთა მეთოდებით მიდის ბრძოლა. ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ვრცელი პასუხის გაცემისგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებს, რომ რესპუბლიკური პარტია გარდაიცვალა.

სოციალურ ქსელში ინაშვილი „ვენოკზეც“ საუბრობს, რომელიც, მისი თქმით, ლევან ბერძენიშვილს ეკუთვნის.

— ყველას გვახსოვს, საბჭოთა ეპოქაში, აღდგომის წინა დღეებში სპეციალურად აჩვენებდნენ მხატვრულ ფილმებს, რომ მრევლი წირვას არ დასწრებოდა. ათეისტურ-კომუნისტური ტრადიცია გრძელდება. ამჯერად, საბჭოთა რუსთავი 2, აღდგომის წინ... წითელი პარასკევის ღამეს, სპეციალურად „აგდებს“ ვითომ რუსული პროპაგანდის თემას... და მაგალითად მე... რომელიც ამ დღეებში ჩუმად ვარ... იძულებული ვხდები, — გავიხსენო არც მეტი-არც ნაკლები... ლევან ბერძენიშვილი. გავბრაზდე მასზე და ვუპასუხო.

საბჭოთა რუსთავი-2-ო, მე ბატონ ლევანს არ ვუპასუხებ და არც შეურაცხყოფას მივაყენებ. პოლიტიკურ მიცვალებულებს, როგორც წესი, სამგლოვიარო გვირგვინს უგზავნიან. ისე, კი ეკუთვნის ერთი გვირგვინი ჩემგან, წარწერით: „მშვიდობით, ლეო! — წერს ირმა ინაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მის ამ განცხადებას სრულიად იზიარებენ პატრიოტთა ალიანსში.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი „ვენოკი“ ალიანსისგან მთლიანად რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის.

— ირმა ინაშვილმა საკადრისი პასუხი გასცა ბერძენიშვილს. ეგეც და მთელი პარტიაც პოლიტიკურად მოკვდნენ. არ იქნება ცუდი, თუ რესპუბლიკურ პარტიას ჩვენს სახელზე ერთ დიდ გვირგვინს გავუგზავნით, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი.

მისი განცხადებით, რესპუბლიკელები ალიანსზე დაბოღმილები არიან და საამისოდ მიზეზიც აქვთ.

— რესპუბლიკური პარტია რომ პოლიტიკურ სანაგვეზეა, ეს ჩვენი, პატრიოტთა ალიანსის, დამსახურებაა. ჩვენ მათ დავპირდით, რომ პოლიტიკურად დავასამარებდით და დანაპირები ავუსრულეთ კიდეც, — აღნიშნავს ალიანსის წარმომადგენელი.

ამ პარტიებს შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა 2015 წელს დაიწყო. რიგგარეშე არჩევნებში ირმა ინაშვილი და რესპუბლიკელი თამარ ხიდაშელი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ეს პარტია კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იყო.

ინაშვილი დღემდე ამტკიცებს, რომ ის არჩევნები მან მოიგო და რესპუბლიკელებმა გამარჯვება მოჰპარეს. მაშინ ალიანსმა შიმშილობაც კი დაიწყო. მათმა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო. პარლამენტში მაინც თამარ ხიდაშელი გაიყვანეს.

— სამაგიეროდ, ახლა შეიცვალა ვითარება. ეს პარტია ფაქტიურად აღარ არსებობს, სამაგიეროდ, პატრიოტთა ალიანსია პარლამენტში, რომელსაც პოლიტიკური ამინდის შექმნა შეუძლია, — სიამაყით ამბობს სადღობელაშვილი.

ის მოწინააღმდეგე პარტიისგან თავდასხმებს მომავალშიც ელოდება. ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა ბოკერიასთან ერთად იმართება.

— რესპები და გიგა ბოკერია ყოველთვის ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. პოლიტიკური ოპონენტებისთვის პრორუსულის იარლიყის მიწებება ბოკერიას სტილია. რესპუბლიკელები ყოველთვის ბოკერიას დაკრულზე ცეკვავდნენ.

ამ იარლიყის მიწებებას ორი მიზანი აქვს — ერთია, რომ ოპონენტებს სვრიან, ხოლო მეორე ისაა, რომ თავიანთ ცოდვებს მალავენ, — აცხადებს ალიანსის წარმომადგენელი.

მისი თქმით, რესპუბლიკელებზე პრორუსული პარტია საქართველოში არ არსებობს. ამის დასტურად მას ასეთი მაგალითი მოჰყავს:

— ერთ-ერთი მედიასაშუალების რედაქტორი საინტერესო ამბავს მომიყვა. მათ რამდენიმე წლის წინ „ქართულ ოცნებასთან“ დაეძაბათ ურთიერთობა. დახმარებისთვის მათ ნაცნობ რუს პოლიტიკოსებს მიმართეს. მათ ურჩიეს, ჩვენი სახელით დავით უსუფაშვილთან მიდითო. აქედანაც ნათლად ჩანს, თუ ვინ არის პრორუსული.

ლადო სადღობელაშვილის განცხადებით, პატრიოტთა ალიანსის პრორუსულობა მოგონილი თემაა.

— ვერ დამისახელებთ ჩვენი პარტიის ვერც ერთ წევრს, რომელიც ამბობს, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, არც ერთ ჩვენგანს არ უთქვამს, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ არის.

შესაძლოა მათ ხელზე დაიხვიეს ქალბატონ ადა მარშანიას განცხადება, რომელიც თვლის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო თუ დაბრუნდება, ნატოზე



უარი უნდა ვთქვათ. ეს არ ნიშნავს პრორუსულობას. პრორუსულობა არის ის, რასაც რესპუბლიკელები აკეთებენ, — აღნიშნავს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, მისი თანაპარტიელების დიდი ნაწილი, მათ შორის თავად, რუსეთში ნამყოფიც კი არ არის. სადღობელაშვილს იმის გარკვევაც სურს, თუ როგორ ხდებიან პოლიტიკოსები პრორუსულები ან პროამერიკელები:

— ვინმემ ახსნას, რანაირად ხდება პოლიტიკური პარტიების ორიენტაციის გარკვევა. ბერძენიშვილი ამერიკაში რამდენჯერმე რომ ჩავიდა, ამიტომ არის პროამერიკელი? ასე მთელი რუსეთი ამერიკაში დადის და პროამერიკელები არიან?

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „არაბები საქართველოში ბინადრობის უფლებას 35 ათას დოლარად ყიდულობენ“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ბინადრობის მაძიებლები შარჯა-თბილისის რეისს მოჰყვებიან“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ მიმდინარეობს საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დიდი გადმოსახლება, რაც დაკავშირებულია დემოგრაფიული სურათის ცვლილებასთან.**

— ბატონო დიმიტრი, თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოში ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეები, ბინადრობის უფლებას ყიდულობენ, შემდეგ კი ქართულ მიწებს იგდებენ ხელში. უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ ისაუბროთ, ვინ ჩამოდიან და რა პროცესი მიმდინარეობს?

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც კავშირშია ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის ცვლილებასთან. საქართველოში სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო პაკეტების განხორციელების საბაბით, ხორციელდება უცხოტომელების დიდი გადმოსახლება ბინადრობის მოპოვების მიზნით.

*— კერძოდ, რომელი ქვეყნებიდან შემოდიან?*

— განსაკუთრებით არაბეთის ქვეყნებიდან. არაბეთიდან დაფრინავს რეისი შარჟა-თბილისი. ძირითადად ამ რეისს მოჰყვებიან ბინადრობის მაძიებელი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ აქ დასახლებას. ისინი არ არიან ტურისტები. ისინი ჩამოდიან კონკრეტული მიზნებით. მათ ხვდებიან კონკრეტული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში დაფუძნებული იურიდიული ფირმების წარმომადგენლები, კონკრეტული ადამიანები. ამის მტკიცებულებაც მაქვს.

*— რომელი კომპანიებია?*

— უცხო ქვეყნების მიერ დაარსებული იურიდიული კომპანიებია.

*— კონკრეტულად?*

— ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს შევხვდი და ვესაუბრე. ის არის არაბი. მას ქართველებთან ერთად აქვს დაფუძნებული იურიდიული კომპანია, რომელიც ბინადრობის უფლების შეძენასა და მიწათსარგებლობის საკითხებს აგვარებს სწორედ შარჟა-თბილისის რეისით ჩამოსული არაბი მოქალაქეებისთვის.

როცა კომპანიის წარმომადგენლებს ვესაუბრე, გაირკვა, რომ ამ რეისს მოჰყვებიან ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში უძრავი ქონებისა და მიწის შეძენით.

*— როგორ ახერხებენ ბინადრობის უფლების მოპოვებას?*

— არაბეთის ქვეყნების მოქალაქეები საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვებას 35 ათასი დოლარის ფასად ახერხებენ.

*— ასე ადვილია ბინადრობის უფლების მიღება საქართველოში?*

— გარკვეული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, 90%-ის შემთხვევაში უკმაყოფილებენ.

*— 10 პროცენტს რატომ არ უკმაყოფილებენ?*

— მე ვისაც ვესაუბრე, აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ საქართველოში ამ მიზნით ჩამოსული ადამიანების 10%-ის თხოვნას არ უკმაყოფილებენ, რადგან ისინი საეჭვო პირებად მიიჩნევიან ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. თუმცა, იმის მაგივრად, რომ დეპორტი გაუკეთონ, საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებიან.

თუკი ბინადრობის უფლებას არ აძლევ, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მათი დეპორტაციაც უნდა მოახდინო და თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ უნდა ჰქონდეს.

*— ფირმის სახელწოდებისა და მისი წარმომადგენლების ვინაობის დასახელება არ გინდათ?*

— შემიძლია ექსკლუზიურად თქვენ გადმოგცეთ ის ბუკლეტი, რომლითაც რეკლამას აკეთებენ. კომპანია მიმართავს არაბეთის ქვეყნების მოქალაქეებს, საქართველოში თქვენ გექნებათ ბინადრობის უფლების მოპოვებისა და მიწის შეძენის საშუალებაო. ეხმარებიან ბინადრობის უფლების მოპოვებასა თუ მიწების შეძენაში.

საქართველოს გულშემატკივარი ადამიანი ამას არ გააკეთებს. საქართველოში არაბებს ერთობლივი ფირმები აქვთ გაკეთებული ქართველებთან ერთად. არაბი მოქალაქეები რომ ჩამოდიან, მათ აეროპორტში ხვდებიან და ეხმარებიან. ასეთი ტიპის კომპანიები საქართველოში ეწევიან საჯარო საქმიანობას.

*— ადრე ქართული მიწების იაფად შესყიდვის შესაძლებლობაზე რეკლამები ინტერნეტის საშუალებით ვრცელდებოდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს იწვევდნენ საქართველოში მიწების შესაძენად. ახლა მხოლოდ სარეკლამო ბუკლეტები აქვთ, თუ ის საინტერნეტო რეკლამებიც დარჩა?*

— დაბეჭდილი ბუკლეტები პირდაპირ აეროპორტში რიგდება. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ აქ ჩამოსული ადამიანები წინასწარ არიან ინფორმირებული, სად და რა უძრავი ქონება უნდა შეიძინონ. რომელი მიწა იყიდება მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. საუდის არაბეთში ძალიან მაღალი დონის ანაზღაურება აქვთ მოქალაქეებს. იმგვარი ანაზღაურებით ადამიანი აქ შეიძლება მდიდრად ჩაითვალოს და მიწებისა თუ შენობა-ნაგებობების შესყიდვაც არ გაუჭირდებათ.

*— რატომ უნდათ უცხოელებს საქართველოში მიწის შეძენა?*

— საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. დღეს მსოფლიოში წყლის რესურსების მოპოვების მიზნით, მესამე მსოფლიო ომი დებიუტის ფაზაშია. მიმდინარეობს მასობრივი მიგრაცია წყლის რესურსების ხელში ჩასაგდებად.

ჩემი მხრიდან ეს არ არის ქსენოფობიური განცხადება.

მოგეხსენებათ, მე გახლავარ სახელმწიფო-საკონსტიტუციო კომისიის წევრი. მოვითხოვდით, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის შეზღუდვის შესახებ მუხლი, დამავალდებულებელი ნორმა, როგორც ეს იყო 1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ ისურვა მიწის შესყიდვის შეზღუდვის დამავალდებულებელი ნორმა ჩაწერილიყო კონსტიტუციაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ხელისუფლების მიერ, მიწის საკითხთან დაკავშირებით, აღებული კურსი არის ნეოლიბერტარიანული მიმართულების.

*— ანუ?*

— ნეოლიბერტარიანული მიმართულება გულისხმობს მიწას, როგორც საინვესტიციო ობიექტს, რაც დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის.



# „ისლამურ სახელმწიფოში“ ჩეჩნების როლი მნიშვნელოვნად შემცირდა“



ავსტრიულ გაზეთ „Der Standard“-ში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ჩეჩენ ისტორიკოსთან და პუბლიცისტთან მაირბეკ ვაჩაგაევთან, რომელშიც იგი ვრცლად საუბრობს ისლამური რელიგიის მნიშვნელობაზე ჩეჩნურ საზოგადოებაში, რელიგიურ ადათ-წესებზე, აგრეთვე სირიაში მოქმედი „დაიშ“-ის („ისლამური სახელმწიფოს“) რიგებში ჩეჩენი მებრძოლების მონაწილეობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში ჩეჩნების აქტიურობა შესამჩნევად შემცირდა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

*— რამდენი ჩეჩენი მონაწილეობს სირიისა და ერაყის ომებში?*

— 2016 წლის ივლისში მოკლული ეროვნებით ჩეჩენი საველე მეთაური ომარ ალ-შიშანი ამბობდა, რომ მის ქვედანაყოფებში 5 ათასამდე კავკასიელი, მათ შორის 3 ათასამდე ჩეჩენი იბრძოდა, თუმცა ეს ციფრები მე პირადად არარეალური მეჩვენება. ჩემი აზრით, „ისლამური სახელმწიფოს“ სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფებში, სამი წლის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლების დროს, დაახლოებით 2 ათასამდე ჩეჩენი მონაწილეობდა.

მათი რაოდენობა ყველაზე მეტი იყო 2015 წელს. როგორც ჩანს, მასობრივი ინტერნეტ-პროპაგანდის გამო. ევროპიდან ყველაზე მეტი ახალგაზრდა სირიასა და ერაყში 2014 წლის ბოლოს წავიდა, როცა ისინი უყურებდნენ სამხედრო წარმატებების ამსახველ ვიდეოკადრებს — ქალაქების აღებისა და „ისლამური სახელმწიფოს“ სტრუქტურების მშენებლობის თაობაზე. ამჟამად, როცა „ისლამური სახელმწიფო“ მარცხს მარცხზე განიცდის, სირიასა და ერაყში წასვლა ახალგაზრდებს უკვე აღარ იზიდავს, ომში ძალიან ცოტა ვინმე თუ მიდის.

*— შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ როლს ასრულებენ ჩეჩნები „ისლამური სახელმწიფოს“ სტრუქტურებში?*

— მე ასე ვიტყოდი: ომარ ალ-შიშანის სიკვდილის შემდეგ ჩეჩნების როლი მნიშვნელოვნად შემცირდა. „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელი აბუ-ბაქრ ალ-ბაღდადი ომარ ალ-შიშანს რუსეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოცდილ მეომრად მიიჩნევდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ომარ ალ-შიშანს ჩეჩნეთის ომებში მონაწილეობა არ მიუღია.

უფრო მეტიც, იგი საერთოდ არაა ნამყოფი ჩეჩნეთში. ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილი საქართველოში მცხოვრებ ჩეჩნურ ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნებოდა, საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, ქართული არმიის სპეციალურ ქვედანაყოფში მსახურობდა და ამერიკელმა ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს აშშ-ში. აი, როცა ომარ ალ-შიშანი ცოცხალი იყო, იმ პერიოდში ჩეჩნებს „ისლამური სახელმწიფოს“ სტრუქტურებში მართლაც დიდი გავლენა ჰქონდათ. მისი სიკვდილის შემდეგ კი ჩეჩნების ადგილი და როლი თანდათან სხვებმა ჩაანაცვლეს.

**ნიუსპრესი**

# „დედაენის დღე“ — რა მოხდა 1978 წლის 14 აპრილს

14 აპრილს საქართველოშ „დედაენის დღე“ აღინიშნება. 1978 წელს ქართველმა საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

დისიდენტებმა, სტუდენტებმა, ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, მასობრივი საპროტესტო შეკრებები და გამოსვლები დაიწყეს, რომლის კულმინაციაც 14 აპრილს, თბილისის უნივერსიტეტის ეზოდან რუსთაველის გამზირზე, ყოფილი უზენაესი საბჭოს (ამჟამად პარლამენტის) შენობამდე მოწყობილი მსვლელობა და მრავალათასიანი მიტინგი გახდა. ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

დაძაბული ვითარების გამო, ოფიციალური მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო და კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შევიდა, ხოლო 14 აპრილი „დედაენის დღედ“ გამოცხადდა.

**როგორ იხსენებს 1978 წლის მოვლენებსს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე, ყოფილი დისიდენტი თამარ ჩხეიძე, რომელიც მაშინდელი მოვლნების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო:**

— გაზეთ „კომუნისტში“ ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა. 78-ე მუხლში შედიოდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოკავშირე რესპუბლიკების ენებს სახელმწიფო ენის სტატუსი ერთმეოდათ.

მუხლი, რომლითაც საქართველოში სახელმწიფო ენა ქართული იყო, კონსტიტუციიდან გააქრეს. ამან არა მხოლოდ ეროვნულ, დისიდენტურ მოძრაობაში ჩართული ადამიანების, არამედ სტუდენტების, ინტელიგენციის პროტესტი და შეშფოთება გამოიწვია. ასე დაიწყო ყველაფერი.

ჩემს ბინაში ხშირად ვიკრიბებოდით ადამიანები, რომლებსაც დისიდენტებს გვიწოდებდნენ, ჩემი თანაკურსელები: გელა ნიკოლაიშვილი, გია ჩხიკვიშვილი, ბადრი ბანძელაძე. პირველივე დღეს, როცა ეს ამბავი შევიტყვეთ, ავთანდილ იმნაძემ, რომელიც ჩვენზე უფროსი იყო, გვითხრა, ამას აუცილებლად მოჰყვება დიდი დემონსტრაციაო.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის გამოქვეყნების შემდეგ, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში იმართებოდა შეკრებები და კონსტიტუციის პროექტს განიხილავდნენ. ამ საკითხზე ადამიანები არ მოერიდნენ უარყოფითი დამოკიდებულების, საკუთარი თვალსაზრისის თამამად გამოხატვას, რაც ხელისუფლებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მივმართეთ პეტიციით, რომელშიც კატეგორიულად ვითხოვდით, ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შენარჩუნებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობდა უშიშროების სამსახური, გვიბარებდნენ იმ სტუდენტებს, ვინც პეტიციაზე ხელმოწერებს ვაგროვებდით, 11 აპრილს ჩემს ბინაში ჩხრეკაც კი ჩატარდა... თბილისში ყველამ იცოდა, რომ ეს საკითხი 14 აპრილს, დილიდან უნდა განეხილა საქართველოს უზენაეს საბჭოს და რაკი დრო და ადგილი ცნობილი იყო, ხელისუფლებას ხალხის შეკრებისა შეეშინდა, თუმცა, აქტიურობით უკურეაქცია მიიღო: ყველა დაწესებულების, განსაკუთრებით სკოლის დირექტორებს აფრთხილებდნენ, — ამ დროს ქუჩაში არავინ ვნახოთო, მაგრამ ახალგაზრდობა ხომ აკრძალული ხილისკენ მეტად ისწრაფვის და გარეთ ისინიც კი გამოვიდნენ, ვისაც დემონსტრაციაზე წასვლა არც კი უფიქრია.

14 აპრილს, დილის 10 საათზე, სტუდენტები უნივერსიტეტთან შევიკრიბეთ, შემდეგ რუსთაველისკენ დაიძრა მსვლელობა, გზადაგზა სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები გვიერთდებოდნენ.

რუსთაველის გამზირი ხალხით იყო გადაჭედილი, რაც იმ დროისთვის უნიკალური მოვლენა იყო, დღემდე მომიტინგეთა სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ: ზოგი — 50 ათასს, ზოგი — 70 ათასს. შეკრებილი ხალხი გამოირჩეოდა წესრიგით, აგრესიას არ ამჟღავნებდა, ამასთანავე, ყველას გადაწყვეტილი გვქონდა, სასურველი შედეგის მიღებამდე რუსთაველის პროსპექტი არ დაგვეტოვებინა. ლიდერებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს იმითაც, როცა თქვეს: გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნები, თუნდაც პოლიტპატიმრების საკითხი (იმხანად მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია დაპატიმრებულები იყვნენ), მაგრამ ამჯერად ერთადერთი მოთხოვნა გაქვს: ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის აღდგენაო. და ამ გათვლამ გაამართლა.

იმ დღეს ქართველმა საზოგადოებამ დიდი გონიერება გამოიჩინა, თუმცა, ცხადია, ვიცოდით, რომ შეიძლება ესროლათ კიდეც — უფროს თაობას კარგად ახსოვდა 1956 წლის 9 მარტი.

უმაღლესი საბჭოს სესიის მიმდინარეობისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მომიტინგეების წინაშე ედუარდ შევარდნაძე გამოვიდა და 78-ე მუხლის შუალედური ვარიანტი შემოგვთავაზა, რაც იქ მდგომი ადამიანებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ნათელი იყო, რომ ხალხი კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა. როგორც ჩანს, ამან მოსკოვი დააფიქრა და საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღეს. ყველამ იცის, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო ვერდიქტს თბილისში ვერც შევარდნაძე გამოიტანდა და ვერც სხვა. მოსკოვმა დაინახა, რომ შეკრებილი ხალხი დაშლას არ აპირებდა, სისხლისღვრა კი მის ინტერესში არ შედიოდა და წავიდა დათმობაზე. ამ დღეს ქართველმა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, 14 აპრილის აქციაში არ ერია არც ერთი წვეთი ძალაუფლებისთვის ბრძოლისა. ბევრმა არ იცის, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს სხვა რესპუბლიკებში, მათ შორის, ბალტიის ქვეყნებსა და სომხეთშიც მოჰყვა უკმაყოფილება, მაგრამ ქუჩაში გასვლა მხოლოდ ქართველებმა გავბედეთ.



ყველას კარგად გვქონდა გაცნობიერებული ენის მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“...

**ნიუ პოსტი**

# ანატოლი ბიბილოვი: „ჩვენ ფაქტობრივად უკვე რუსეთში ვართ“

## რატომ შეცვალეს ცხინვალში ინაუგურაციის ადგილი და თარიღი



შორენა მარსაგიშვილი

**ცხინვალში ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან. ამ სამზადისში უკვე ორჯერ შეცვალეს ინაუგურაციის ადგილი. გაურკვეველი მიზეზებით შეიცვალა ფიცის დადების თარიღიც.**

ოსური მედიის ცნობით, ბიბილოვის შტაბმა თავიდან ინაუგურაციის ჩატარება 22 აპრილს დააანონსა. მოგეხსენებათ, რომ ოსებს ლენინი ძალიან უყვართ და ეტყობა, აღარ მოუნდათ მისი დაბადების დღე სხვა ღონისძიებით გადაეფარათ. ამიტომაც ინაუგურაციის თარიღი ერთი დღით გადმოსწიეს და ის 21 აპრილს გაიმართება.

თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით განმარტებები საინაუგურაციო პერსონამაც გააკეთა.

— 21 აპრილი არის პარასკევი. პარასკევი მსგავსი ღონისძიების ჩასატარებლად იდეალური დღეა როგორც მოსახლეობისთვის, ასევე მოწვეული სტუმრებისთვის. ჩვენ გვინდოდა, რომ ხალხს გამოსასვლელ დღეებში დაესვენა, — აღნიშნა ბიბილოვმა.

მისი ნაზირ-ვეზირები რამდენიმე დღის წინ იუწყებოდნენ, რომ ინაუგურაცია ან სახელმწიფო საკონცერტო დარბაზ „ჩერმენში“ გაიმართებოდა, ან მთავრობის სააქტო დარბაზში.

მოგვიანებით კი ღონისძიების სტადიონზე ჩატარება გადაწყვიტეს. ფიცის დადების ცერემონიალი ცხინვალის გურამ ცხოვრებოვის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

— ღონისძიებაზე დასწრების სურვილი ბევრს აქვს. ამიტომაც შევარჩიეთ ეს ადგილი — სტადიონზე ყველა მსურველი დაეტევა, — აცხადებენ შტაბში.

სტადიონზე დაგეგმილ არასპორტულ ღონისძიებას მოწვეული სტუმრები რუსეთიდან და სხვა არაღიარებული რესპუბლიკებიდან დაესწრებიან.

რუსი პოლიტიკოსების გარდა, საზეიმო ღონისძიებაზე შესაძლოა რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებიც დაესწრონ.

ოსური მედიის ცნობით, რუსეთის პატრიარქმა კირილმა ანატოლი ბიბილოვს პირადად მიულოცა არჩევნებში გამარჯვება. არადა პატრიარქ კირილს არაერთხელ განუცხადებია, რომ ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და რუსული ეკლესია აფხაზეთ-სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად განიხილავს.

ეტყობა, რუსეთის სულიერ მამას დაავიწყდა თავისი პირობა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად არჩეულ ბიბილოვზე დიდ იმედებს ამყარებს.

პატრიარქი კირილი იმედოვნებს, რომ ახალი პრეზიდენტი რელიგიას გაცილებით მეტ ყურადღებას დაუთმობს.

— გულითადად გილოცავთ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად არჩევას. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს, — ნათქვამია პატრიარქ კირილის მოსალოც წერილში.

რუსეთის პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ბიბილოვი ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას სიმშვიდეს და სოციალურ კეთილდღეობას მოუტანს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირობა ანატოლი ბიბილოვმა არაერთხელ დადო, ერს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირობაც მისცა. თუმცა, მისივე განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, ბიბილოვისთვის პრიორიტეტი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა.

— სამხრეთ ოსეთი ადრე თუ გვიან შევა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ჩვენ პრაქტიკულად ისედაც რუსეთის ნაწილი ვართ, — აღნიშნა პრეზიდენტად არჩეულმა.

რუსული და სხვა უცხოური მედია ვარაუდობს, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ძალაუფლებას ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი დაიბრუნებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 წლის არჩევნებზე ბიბილოვი კოკოითის მემკვიდრე იყო, მაგრამ მან გამარჯვება ვერ მოიპოვა.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ არჩევნების მოგებაში მას ნაპრეზიდენტალის მომხრეები დაეხმარნენ.

ადგილობრივმა ცესკომ არჩევნების შედეგების გამოქვეყნება დააგვიანა. თავიდან იმასაც კი ამბობდნენ, რომ მეორე ტური ჩატარდებოდა. ამ გაწამაწიაში კოკოითის მომხრეები ქუჩაში გამოვარდნენ და ბიბილოვის გამარჯვების აღმნიშვნელი ყიჟინა დასცხეს.

კოკოითისა და ბიბილოვის ფარულ პოლიტიკურ ტრფიალზე სხვა ფაქტიც მეტყველებს. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კოკოითიმ ცხინვალში მაგრად აურია სიტუაცია. ის და მისი მომხრეები აქციებს ატარებდნენ და ხელისუფლებას ლანძღავდნენ.

ეს დაჯგუფება ძირითადად მოქმედი პრეზიდენტის ლანძღვით იყო დაკავებული. ანატოლი ბიბილოვი კი არავის უგინებია.

ამ საკითხზე გამარჯვებულმა კანდიდატმა კომენტარი გააკეთა და ირწმუნება, რომ მასა და კოკოითის შორის არანაირი გარიგება არ არსებობს.

არადა მედიაში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მან კოკოითის პირობა მისცა, მის ხალხს არავინ შეეხებოდა.

ამაზე ბიბილოვს ასეთი პასუხი აქვს:

— მე კოკოითისთვის არ მიმიცია არანაირი პირობა.

გამარჯვებული კანდიდატი პირობას დებს, რომ რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად ყველაფერს გააკეთებს.

— სამსახურებიდან ხალხის გაყრა და მასობრივი დაპატიმრებები არ იქნება, მაგრამ წესრიგი დამყარდება. კორუფციის და ნარკოტიკების გაყიდვის წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმკაცრით ვიბრძოლებ, — ამბობს თიბილოვი.

### რეგიონი

# „მეკუთვნის და ავიღე“ — ნახევარ მილიონამდე ლარი სააღდგომო პრემიებში

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით კახეთის გამგეობებსა და საკრებულოებში 440.582 ლარი პრემიებში დაიხარჯა. მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი თანხა, 88 ათასი ლარი გურჯაანში გაიცა.

„მეკუთვნის და ავიღე“, — აცხადებს გურჯაანის გამგებელი გივი გერგიძე. რა დამსახურებისთვის წაიხალისა თავი გურჯაანის გამგებელმა, ამ კითხვაზე მისგან პასუხი ვერ მივიღეთ.

როგორც გამოვარკვიეთ, გივი გერგიძეს კორპორატიულ ნომერზე კახეთის საინფორმაციო ცენტრის და მისი რეპორტიორების ტელეფონებიდან შემავალი ზარები დაბლოკილი აქვს. სხვა ნომრიდან დარეკვის შემდეგ კი განაცხადა, რომ „არ უნდა შევაწუხოთ“.

წინასააღდგომოდ, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში პრემიის სახით 58.000 ლარი გაიცა.

— ოდესმე თუ დაინტერესებულხართ, რა ოდენობის ხელფასს იღებს ყოველთვიურად თვითმმართველობის ნებისმიერი თანამშრომელი? პრემიას ამიტომ გავცემთ, — აღნიშნა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მიხეილ შაშიაშვილმა.

კახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოველთვიური ხელფასი 2.650 ლარია, მოადგილის 1.300 ლარი, სამსახურის უფროსის 1.000 ლარი, განყოფილების უფროსის 800, მთავარი სპეციალისტის 560, წამყვანი სპეციალისტის 500 ლარი.



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში პრემიებზე 60 ათასი ლარი დაიხარჯა, ყვარელში 58 ათასი, 48 ათასი დედოფლისწყაროში, 47 ათასი სიღნაღში, 40 ათასი ლარი ქალაქ თელავში. ყველაზე ცოტა, 25 ათასი ლარი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გასცა.

სააღდგომოდ პრემია არ გაიცემა საგარეჯოს გამგეობასა და საკრებულოში, ასევე ახმეტის საკრებულოში.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრემია საჯარო მოსამსახურის ფულად წახალისებას გულისხმობს და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლით შეიძლება გაიცეს: სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულება, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახური, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულება.

თვითმმართველობის ორგანოები ვერ უთითებენ ვერც ერთ სამართლებრივ საფუძველს, თუ რის გამო განხორციელდა პრემიების გაცემა.

მაგალითად, ახმეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა თავის მოადგილეს დავით ფოცხვერიშვილს, რომელიც მანამდე პარლამენტის მაჟორიტარის ზურაბ ზვიადაურის ბიუროს უფროსი იყო, საბანკო სესხები პრემია-დანამატებით დაუფარა.

დავით ფოცხვერიშვილს ხელფასთან ერთად დამატებით 10-ჯერ დაერიცხა პრემია და დანამატი, ჯამში 13 ათასი ლარის ოდენობით, რაც მისი საბანკო სესხების დასაფარად საკმარისი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში გამგეობის სხვა თანამდებობის პირებიდან უმეტესობას მხოლოდ 3-4 პრემია და დანამატი აქვს მიღებული.

დღესასწაულებისთვის პრემიების გაცემას ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის დადგენილებამ, რომლის თანახმადაც საჯარო მოსამსახურეთა პრემირება წელიწადში არაუმეტეს 3-ჯერ დასაშვებია უქმე დღეებთან დაკავშირებით.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ყველაზე მეტ პრემია-დანამატებს თანამდებობის პირები ქალაქ თელავის მერიასა და ახმეტის გამგეობაში იღებენ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დაკავებული არჩილ და პაატა როგავების ოჯახის წევრები 20 აპრილს ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას აპირებენ



დაკავებული არჩილ და პაატა როგავების ოჯახის წევრები 20 აპრილს ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას აპირებენ 5 აპრილს საოკუპაციო ხაზთან დაკავებული მამა-შვილის არჩილ და პაატა როგავების ოჯახის წევრები დღეს ენგურის ხიდზე კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ.

მათ ხელისუფლებას დაკავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის და მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სთხოვეს. პაატა როგავას დის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ინფორმაცია კვლავ არ მიეწოდება, 20 აპრილს ფართომასშტაბიან აქციას გამართავენ და აფხაზეთში გადასვლასაც შეეცდებიან.

ამასთან, ოჯახის ინფორმაციით, როგავების ე.წ. საქმეზე სასამართლო პროცესი 21 აპრილს უნდა გაიმართოს, თუმცა, როგორც თავად ამბობენ, ზუსტი ინფორმაცია არც ამის შესახებ აქვთ.

# აჭარის საპატრულო პოლიციამ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის 21.535 მძღოლი დააჯარიმა



2017 წლის იანვრიდან 15 მარტამდე აჭარის საპატრულო პოლიციამ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის 21.535 პირი დააჯარიმა. ასეთია „ინტერპრესნიუსის“ მიერ შსს-დან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები.

სტატისტიკის თანახმად, 2016 წლის 12 თვეში ანალოგიური დარღვევებისთვის აჭარის რეგიონში 55.483 პირი დააჯარიმეს, 2015 წელს კი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაჯარიმებულ პირთა რაოდენობა 85.412 იყო.

ამასთან, როგორც შსს-ს მიერ გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული, სამართალდარღვევების დიფერენცირება სამინისტროს ცალკეული დეპარტამენტების მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრების მიხედვით შეუძლებელია.

— შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ მონაცემები აისახება ერთიან ელექტრონულ ბაზაში. შესაბამისად, მათი დიფერენცირება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული დეპარტამენტების მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრების მიხედვით შეუძლებელია, — აღნიშნულია შსს-ს წერილში.

# ფასანაურთან ავტომობილი გზიდან გადავარდა და ცეცხლი გაუჩნდა



დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფასანაურთან, ავტომობილი გზიდან გადავარდა და ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევა დღეს მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი შემთხვევის ადგილიდან იუწყება, ავტომობილში ორი ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი მსუბუქად დაშავდა. ადგილზე იმყოფებიან საპატრულო პოლიციის, სამაშველო და სახანძრო სამსახურების წარმომადგენლები.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა დაგიჯდებათ სააღდგომო სუფრა



აღდგომამდე ორი დღეა დარჩენილი და შესაბამისად, სასურსათო ბაზრებში ხალხმრავლობა შეინიშნება.

აღდგომის დღესასწაულს მოსახლეობა ტრადიციული სუფრით ხვდება. იმის გასარკვევად, თუ როგორი ფასებია ბაზრებში და რა დაგიჯდებათ სააღდგომო სუფრის მომზადება, „ბიზნესპრესნიუსი“ თბილისის ბაზრებსა და ზოგიერთ სუპერმარკეტს ეწვია. 14 აპრილის მონაცემებით, სააღდგომო სუფრის გასამზადებლად დაახლოებით 150-250 ლარია საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „დეზერტირებისა“ და „ნავთლუღის“ ბაზრებში ფასები მეტნაკლებად განსხვავებულია. მაგალითად, თუ პომიდორი სამგორში, „ნავთლუღის“ ბაზარში 4 ლარი ღირს, „დეზერტირების ბაზარში“ მისი ყიდვა 4.50 ლარად არის შესაძლებელი. 1 კილო ქათამი ნავთლუღის ბაზარში 6 ლარი ღირს, დეზერტირების ბაზარში კი მისი ღირებულება – 7 ლარია.

ამასთან, განსხვავებული ფასებია ბაზრებსა და სუპერმარკეტებშიც. მაგალითისთვის, თუ ბაზრებში ვაშლის ყიდვა 1-1.50 ლარად არის შესაძლებელი, ზოგიერთ სუპერმარკეტში მისი ფასი 2.50 ლარიდან იწყება; ასევე განსხვავდება კიტრისა და პომიდვრის ფასიც. ბაზრებში პომიდორი 4-4.50 ლარი ღირს, სუპერმარკეტებში კი მისი ფასი 4.10-4.80 ლარია. რაც შეეხება კიტრს, მისი ფასი ბაზრებში 2.50 ლარია, სუპერმარკეტებში კი 2.90 ლარი.

პასკა – დიდი ზომის პასკების ფასი 4 ლარიდან იწყება და 25 ლარამდე მერყეობს. ამ მხრივ უფრო მრავალფეროვან არჩევანს მომხმარებელს სუპერმარკეტები სთავაზობენ, სადაც სხვადასხვა სახის პასკის ყიდვაა შესაძლებელი.

**კვერცხი** – კვერცხის ფასი 30-35 თეთრია. მის შესაღებად საჭირო საშუალებებს რაც შეეხება, საღებავი ბაზრებში ჭიქა 1 ლარი ღირს, ხოლო 1 შეკვრა ენდროს ფასი 50-70 თეთრია.

**ქათამი** – თუ ბაზრებში კილო ქათამი 6-7 ლარი ღირს, წიწილის ფასი 4-7 ლარია. რაც შეეხება სუპერმარკეტებს, გაყინული ქათმის ღირებულება დაახლოებით, 6-7 ლარია.

**ყველის** ფასი 6.50 ლარიდან 11 ლარამდეა. აქედან სახლის იმერული ყველი 6.50-7 ლარი ღირს, ქარხნული ყველის ყიდვა კი 11 ლარად არის შესაძლებელი.

**თევზი** – ამ მხრივ მრავალფეროვანი არჩევანია და სხვადასხვა სახის თევზს სხვადასხვა ღირებულება აქვს. მაგალითად, ბაზრებში ორაგულის ფასი 14 აპრილის მდგომარეობით 10 ლარია; ლოქო – 1 კილო 5 ლარი ღირს; ხოლო ხეკი – 6 ლარი ღირს.

**ხორცი** – დღეის მდგომარეობით, ძროხის ხორცის ფასი კილოზე 9-12 ლარის ფარგლებში მერყეობს; ღორის ხორცის ყიდვა კი დაახლოებით 11 ლარად არის შესაძლებელი.

**ხილი** – 1 კილოგრამი, მარწყვი – 4-5 ლარი ღირს; ბანანის ფასი 60-90 თეთრის ფარგლებშია; ალუჩა 1 ჭიქა 5 ლარი ღირს.

**სასმელი** – სუპერმარკეტებში 1 ბოთლი ღვინის ფასი 6-7 ლარიდან იწყება. შამპანურის ფასი 10 ლარიდან იწყება; ასევე დაახლოებით 10 ლარიდან იწყება არყის ფასიც. რაც შეეხება ვისკის, მისი ფასი 60 ლარიდან 120 ლარამდეც კი მერყეობს.

ბაზრის მოვაჭრეების თქმით, დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად მყიდველის რაოდენობის ზრდასაც ელიან. რაც შეეხება ფასებს, აღნიშნავენ, რომ სააღდგომოდ ფასები გაზრდილი არ არის, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ბოლო დღეებში ზოგიერთი პროდუქტის ღირებულება მცირედით შეიცვალოს.

# სავალუტო ფონდმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა

ფონდის მისიის განცხადებით, საქართველო საგარეო შოკიდან ნავარაუდევზე ნელა გამოდის.

2017 წელს IMF საქართველოსთვის 3.5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს, ეს საქართველოს მთავრობის მიერ სამიზნე ზრდად განსაზღვრულ 4%-ზე ნაკლებია. ეს სავალუტო ფონდის მიერ 2017 წლის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის უკვე მეორე შემცირებაა.

2016 წლის ოქტომბერში ფონდი საქართველოსთვის 5.2%-იან ზრდას ვარაუდობდა, თუმცა უკვე ნოემბერში ფონდმა ზრდის პროგნოზი 4%-მდე შეამცირა. ახლა კი ეს მაჩვენებელი 3.5%-მდე დავიდა.

რეფორმის პროგრამა, რომელსაც სსფ მხარს უჭერს გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით, მიზნად ისახავს საქართველოს ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას, საგარეო რისკების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებას, ფისკალური საიმედოობის და ინფრასტრუქტურული



ინვესტიციების ზრდას, სტრუქტურული რეფორმების გატარებას. ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციაშია აღნიშნული.

– მთავრობის რეფორმის პროგრამა, რომელსაც სავალუტო ფონდი მხარს უჭერს გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით, მიზნად ისახავს ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას, საგარეო რისკების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებას, ფისკალური საიმედოობისა და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ზრდას, სტრუქტურული რეფორმების გატარებას, – აღნიშნულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ახალი, 285 მლნ დოლარის მოცულობის სამწლიანი პროგრამა დაამტკიცა.

– სტრუქტურული რეფორმები ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის დივერსიფიცირებას, და ინკლუზიურ ზრდას. კაპიტალის ბაზრის განვითარება, საპენსიო რეფორმასთან ერთად, შეკრებს ადგილობრივ დანაზოგს და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მიერ ინვესტირებას. განათლების რეფორმა გაზრდის სამუშაო ძალის პროდუქტიულობას და ხალხის უნარ-ჩვევებს შეუსაბამებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. მმართველობის გაუმჯობესება და კონკურენციის ზრდა საქართველოს ეკონომიკას განუმტკიცებს მზარდი ბაზრის სტატუსს, – წერია განცხადებაში.

# ქიბარ ხალვაშის ძმა ხელვაჩაურში სამშენებლო მასალების ქარხნის დაბრუნებას ითხოვს



საწარმო ნიაზ ხალვაშმა 2006 წელს შეიძინა, თუმცა ორი წლის შემდეგ მას სამშენებლო მასალების ქარხანა ჩამოართვეს. 2017 წლის 30 მარტს აუქციონის წესით ქარხანა კვლავ ნიაზ ხალვაშის კომპანია „ბიზონმა“ შეიძინა. თუმცა, შპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნული ქარხანა არის განთავსებული, ტერიტორიის დათმობას არ აპირებს.

როგორც შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ ადვოკატი დავით ჯაფარიძე აცხადებს, ხალვაშს სასამართლოს განჩინება აღსრულებასთან დაკავშირებით არ აქვს.

„შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“ ტერიტორიაზე, ამ ეტაპზე შპს „ენერჯია“ განთავსებული და კომპანია ბათუმის მერიას ფილებს უმზადებს. ნიაზ ხალვაში ყველანაირად ცდილობს, რომ ამ პროცესებს ხელი შეუშალოს.

– ნიაზ ხალვაში აგრესიული იყო და არ სურდა ჩემთან საუბარი. მან ტერიტორიის დატოვება მომთხოვა. ის მიიჩნევს, რომ ტერიტორია მის საკუთრებაშია. ნიაზ ხალვაშმა თვითნებურად დაიკავა ტერიტორია, იგი არც პოლიციას ემორჩილება. მას უფლება მხოლოდ მაშინ ექნებოდა თუ სასამართლოს აღსრულების ფურცლით მოვიდოდა.

სამშაბათს პროკურატურაში საჩივარი შეგვაქვს, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს საქმე, – აცხადებს დავით ჯაფარიძე.

# აღდგომის დღესასწაულზე სასაფლაოებთან მისასვლელ გზებზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდება



შსს-ის საპატრულო პოლიციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 16 აპრილს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისში სასაფლაოებთან მისასვლელ გზებზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, საბურთალოს, კუკიის, მუხათგვერდის და თბილისის ზღვის სასაფლაოების მიმართულებით ავტომანქანები შემდეგი მარშრუტებით იმოძრავებენ – საბურთალოს სასაფლაოსთან ავტომანქანებით მისვლა შესაძლებელი იქნება ვაჟა-ფშაველას გამზირიდან სანდრო ეულის ქუჩის და უნივერსიტეტის ქუჩის გავლით. სასაფლაოს ტერიტორიას ავტომანქანები უნივერსიტეტის ქუჩით, თამარაშვილის ქუჩის მიმართულებით დატოვებენ.

კუკიის სასაფლაოს მიმართულებით მოძრაობა შესაძლებელი იქნება საბჭოს მოედნიდან, ნორიოს აღმართის და მამარდაშვილის ქუჩის გავლით. სასაფლაოს ტერიტორიას ავტომანქანები ცაიშის, ქვალონის, აბაშიძის და 9 ძმის ქუჩებით დატოვებენ.

მუხათგვერდის სასაფლაოსკენ ავტომანქანებისთვის მოძრაობა იქნება წრიული – აღმაშენებლის ხეივნიდან გიორგი ბრწყინვალის ქუჩის გავლით.

თბილისის ზღვის სასაფლაოს მიმართულებით ავტომანქანებისთვის მოძრაობა ნებადართული იქნება ხუდადოვის და ანაპის დივიზიის ქუჩებით, თემქის მხრიდან. სასაფლაოდან წამოსვლა შესაძლებელი იქნება მუხრანის და ხუდადოვის ქუჩებით.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი სასაფლაოებთან მიმოსვლისთვის ამავე მარშრუტებით იმოძრავებს.

# მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა წინა წელთან შედარებით 23.5%-ით მეტია



2017 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 112.0 მლნ აშშ დოლარი, ანუ 276.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 23.5%-ით (21.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2016 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.9% იმ 14 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მარტში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 14 ქვეყანაზე გასული წლის მარტში მთელი ფულადი გზავნილების 92.3% მოდიოდა.

2017 წლის მარტში საქართველოდან საზღვარგარეთ 16.6 მლნ აშშ დოლარი (41.6 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 16.3 მლნ აშშ დოლარისა (39.6 მლნ ლარისა) გასული წლის მარტში.

# მარტში საარსებო მინიმუმი 1 ლარითა და 40 თეთრით გაიზარდა

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი მიმდინარე წლის მარტში 150 ლარითა და 30 თეთრით განისაზღვრა, რაც წინა თვის მონაცემზე 1 ლარითა და 40 თეთრით მეტია.

საქსტატის მონაცემებით, გასული წლის მარტთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 7 ლარითა და 10 თეთრით გაიზარდა. საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა 2017 წლის მარტში 284 ლარი და 70 თეთრი შეადგინა, რაც თებერვლის მაჩვენებელზე 2 ლარითა და 60 თეთრით მეტია, წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე კი 13 ლარითა და 60 თეთრით მეტი.

საქსტატის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა მიმდინარე წლის მარტში 169 ლარი და 70 თეთრი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემზე 1 ლარითა და 60 თეთრით მეტია, ხოლო გასული წლის ამავე მაჩვენებელზე 8 ლარითა და 10 თეთრით მეტი.



ოჯახის ტიპების მიხედვით საარსებო მინიმუმი თებერვლის თვეში ასე გადანაწილდა: ერთსულიანი ოჯახი - 150 ლარი და 30 თეთრი, ორსულიანი ოჯახი – 240 ლარი და 50 თეთრი, სამსულიანი ოჯახი – 270 ლარი და 60 თეთრი, ოთხსულიანი ოჯახი – 300 ლარი და 70 თეთრი, ხუთსულიანი ოჯახი – 338 ლარი და 30 თეთრი, ექვსსულიანი ოჯახი – 399 ლარი და 90 თეთრი.

2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

# აშშ მზად არის, ჩრდილოეთ კორეას დაარტყას



აშშ მზად არის, ჩრდილოეთ კორეაზე პრევენციული დარტყმა განახორციელოს, თუ დარწმუნებული იქნება, რომ ოფიციალური ფხენიანი ბირთვული იარაღის რიგით მეექვსე ცდას ჩაატარებს.

აღნიშნულის შესახებ ტელეარხი ენბისი აშშ-ის სადაზვერვო სტრუქტურების წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

ტელეარხის ინფორმაციით, ვაშინგტონს პრევენციული დარტყმა ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით შეუძლია.

— კორეის ნახევარკუნძულის რეგიონთან ახლოს ორი ამერიკული ხომალდია დისლოცირებული, რომლებიც „ტომაჰავკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტებით არის აღჭურვილი. გარდა ამისა, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე კუნძულ გუამზე ამერიკული მძიმე ბომბდამშენებია განლაგებული, რომლებიც, ბრძანების შემთხვევაში, ჩრდილოეთ კორეაზე ავიადარტყმებს განახორციელებენ, — იუწყება ტელეარხი.

აღსანიშნავია, რომ პენტაგონმა კორეის ნახევარკუნძულისკენ უკვე გააგზავნა ავიამზიდების დამრტყმელი ჯგუფი.

# ავღანეთი: აშშ-მ „ისლამური სახელმწიფო" ზემძლავრი არაბირთვული იარაღით დაბომბა



ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდება. 13 აპრილს ამერიკელებმა ტერორისტების პოზიციებზე უმძლავრესი არაბირთვული ბომბი ჩამოაგდეს.

— ტერორისტები თავს აფარებენ გამოქვაბულებს, გვირაბებს, შემდეგ კი ანაზდად გვესხმიან. ჩვენც იძულებულნი ვიყავით, ასეთი მეთოდი გამოგვეყენებინა, — განაცხადა აშშ-ის ჯარების სარდალმა ავღანეთში, გენერალმა ნიკოლსონმა.

ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკული ავიადარტყმის შედეგად განადგურებულია „ისლამური სახელმწიფოს" 36 მებრძოლი. ბევრი დაიჭრა.

— ამერიკული დარტყმის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაზარალებულა, — ნათქვამია ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

პრეზიდენტმა ტრამპმა ჩატარებულ ოპერაციას მაღალი შეფასება მისცა. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა, რომ ისლამისტების რიგებში უდიდესი დანაკარგებია.

— ვამაყობ ჩვენი სამხედროებით! დღეს ამერიკული არმია მსოფლიოში უმძლავრესია, — თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დარტყმის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაზარალებულა.

— როცა ძლიერი ხარ, სხვის სიცოცხლესაც უფრთხილდები! ამერიკა ძლიერი და დიდსულოვანი სახელმწიფოა, — განაცხადა ტრამპმა.

# მაიკ პომპეო: „ვიკილიქსის უკან გრუ დგას"



აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ სააგენტო ვიკილიქსის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან.

— კერძოდ, ვიკილიქსის საფარს ამოფარებულია გრუ, რომელიც აქტიურ ანტიამერიკულ საქმიანობას ეწევა, — აცხადებს პომპეო.

ცსს-ის შეფმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთმა ძირგამომთხრელი საქმიანობა მკვეთრად გაააქტიურა. რუსეთი აწყობს კიბერშეტევებს, ერევა რიგი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს იქ გამართულ არჩევნების შედეგებზე.

— ამას ბოლო უნდა მოეღოს, — თქვა პომპეომ.

# სტოლტენბერგი: „დონბასის პრობლემა მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით შეიძლება მოგვარდეს"



ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ დონბასის პრობლემის ძალისმიერი საშუალებებით მოგვარება შეუძლებელია და მინსკის შეთანხმებები ბოლომდე უნდა შესრულდეს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს დონბასიდან, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინულ მხარეს გადასცეს, — თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივანი მიიჩნევს, რომ დონბასში თავისუფალი არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ჩატარდეს, რაც სროლები შეწყდება და საზღვარზე კონტროლი უკრაინულ მხარეს გადაეცემა.

— მოვუწოდებ რუსეთს, გავლენა გამოიყენოს და სეპარატისტების მხრივ მინსკის შეთანხმებების შესრულება უზრუნველყოს, — ამბობს სტოლტენბერგი.

# ასადი უკანდახევას არ აპირებს



სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდება ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. მან განაცხადა, რომ ქიმიური იარაღი მან კი არა, ამერიკელებმა გამოიყენეს.

— ჩვენ ქიმიური იარაღი არც გვაქვს, — თქვა ასადმა.

სირიის დიქტატორმა ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლებიდან წასვლას არ აპირებს.

— ამერიკულმა რაკეტებმა სირიის არმიას ვერაფერი დააკლეს! ჩემი ჯარისკაცები კვლავაც სამშობლოს სადარაჯოზე დგანან და იდგებიან! — ამბობს დიქტატორი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რა შემთხვევაში დაიწყება მესამე მსოფლიო ომი

## რუსეთ-ამერიკის მემორანდუმი განახლდა



**მარიამ მჭედლიშვილი**

მსოფლიოში მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლება.

რამდენიმე დღის წინ ექსპერტები და ქვეყნების ლიდერები საუბრობდნენ მსოფლიოში დამყარებულ ახალ რეალობაზე, რომელიც მოჰყვა სირიის შაირათის ბაზაზე განხორციელებულ იერიშს. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში სხვა აქცენტებია. მთავარი ყურადღება გადატანილია ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელებაზე.

ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ დღეებში მსოფლიოში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში, გლობალური ცვლილებები არ მომხდარა, მოსკოვი და ვაშინგტონი საერთო ენის გამონახვას ცდილობენ. ომის საფრთხე ისევ არსებობს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვთან და პრეზიდენტ პუტინთან, მიმომხილველების შეფასებით, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში რადიკალური ძვრა ვერ მოახდინა. მხარეები მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით დასცილდნენ კონფრონტაციას.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელ მარკ ტონერის ინფორმაციით, განახლდა ორ სახელმწიფოს შორის დადებული მემორანდუმი. ამ შეთანხმების მოქმედება რუსეთმა შეაჩერა ავიაბაზაზე შეტევის შემდეგ. მემორანდუმი გულისხმობს სირიაში კონფლიქტების თავიდან აცილებას რუსეთსა და ამერიკას შორის.

მეცნიერები და ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის შესაძლებელია თანამშრომლობა. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სპეციალისტ ენდრიუ კაჩინსის სიტყვებით, არსებობს პრობლემების წრე, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც აშშ-სთვის, ისე ორმხრივი ურთიერთობებისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის. ამ საკითხებზე შეიძლება თანამშრომლობა.

რა შემთხვევაში დაიწყება მესამე მსოფლიო ომი?

„უიკის" აზრით, ეს მოხდება მაშინ, თუ დონალდ ტრამპი კიდევ განახორციელებს დარტყმას სირიაში ბაშარ ასადის მხრიდან ქიმიური იერიშის ან სხვა ბარბაროსული ქმედების საპასუხოდ. არ არის გამორიცხული, რომ ამას რუსეთის სამხედრო შეეწიროს. ერთი არაზუსტი დარტყმა შეიძლება გახდეს ნაპერწკალი, რომელიც გააღვივებს მასშტაბურ კონფლიქტს.

ასეთი ომი მოიცავს დიდ ტერიტორიას, ბალტიისპირეთითა და უკრაინით დაწყებული, ახლო აღმოსავლეთით დამთავრებული. ვაშინგტონი და მოსკოვი ბირთვული იარაღის დიდ მარაგებს ფლობენ. ამიტომ ფსონები მაღალი იქნება.

— სარაკეტო იერიში სირიის ავიაბაზაზე არ შეცვლის აშშ-ის დამოკიდებულებას რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის მიმართ, — წერს ნორვეგიული პრესა.

ნორვეგიული გამოცემის თქმით, ქვეყნები სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს განადგურების საბაბით იბრძვიან. სინამდვილეში, რამდენიმე სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესები აქვს.

ეს სახელმწიფოებია: აშშ, რუსეთი, ირანი და საუდის არაბეთი. ისლამური სახელმწიფო ამზადებს ტერორისტებს, რომლებიც ებრძვიან ამ სახელმწიფოებს. რეგიონში შეინიშნება ირანის გავლენის ზრდა.

დონალდ ტრამპის გრძელვადიანი სტრატეგია ახლო აღმოსავლეთში უცნობია. არჩევნების წინ ის აცხადებდა, რომ ისლამური სახელმწიფო გასანადგურებელია, მაგრამ არ დაუზუსტებია, როგორ გეგმავს მის განადგურებას. ცოტა ხნის წინ აშშ-ის პრეზიდენტი არ აპირებდა სირიის კონფლიქტში ჩარევას, სახელმწიფო მდივანი კი აცხადებდა, რომ ასადის მომავალი სირიელი ხალხის გადასაწყვეტია.

მოკლე ხანში აშშ-ის ადმინისტრაციამ კურსი რადიკალურად შეცვალა.

ბევრი რამ ახლაც გაურკვეველია. აშშ-ს შეიძლება ერჩიოს კიდეც, რომ სირიაში ასადის რეჟიმი იყოს, ვიდრე ქვეყანა უფრო დიდმა ქაოსმა მოიცვას.

# მარინ ლე პენმა ევროკავშირს მარცხი უწოდა



საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა და ეროვნული ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა ევროკავშირი გააკრიტიკა და მას დიდი მარცხი უწოდა. ლე პენის აზრით, ევროკავშირს სარგებელი არ მოაქვს.

— ევროკავშირი მარცხია, განსაკუთრებით ევროზონა. თუ საფრანგეთის პრეზიდენტი გავხდი, მაშინ ფრანგებს რეფერენდუმზე ვკითხავ, სურთ თუ არა მათ ევროკავშირში დარჩენა, — განაცხადა მარინ ლე პენმა.

ლე პენმა ბრექსიტის მაგალითი მოიყვანა და თქვა, რომ ბრიტანელი ხალხი მიხვდა ევროკავშირში ყოფნის წამგებიანობას, ამიტომ მათ მიიღეს ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილება.

ლე პენის თქმით, საფრანგეთიც ამავე გზას უნდა დაადგეს, თუ მას განვითარება სურს.

# სტამბოლში „ისლამური სახელმწიფოს" 5 წევრი დააკავეს

თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში პოლიციამ ტერორისტული დაჯგუფების „ისლამური სახელმწიფოს" 5 წევრი დააკავა.

მათი დაკავება სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე მოხდა და 5 დაკავებულიდან ერთ-ერთი ტაჯიკეთის მოქალაქეა. სხვა ინფორმაცია დაკავებულებზე ჯერჯერობით არ ვრცელდება. დაკავებულები პოლიციაში გადაიყვანეს და გამოძიება გრძელდება. ეს 5 ტერორისტი სავარაუდოდ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმზე ტერაქტის მოწყობას გეგმავდა.

რეფერენდუმი 16 აპრილს გაიმართება. დაკავებულებს შესაძლოა სხვა ბრალდებებიც წაუყენონ, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით ზუსტი ინფორმაცია არ ვრცელდება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# როგორ ვუმკურნალოთ ვარიკოზულ ვენებს

ეკა ირემაშვილი

**გაზაფხულის დადგომასთან ერთად, აქტუალური საკითხია ვენების პრობლემები. ლაზერული აბლაცია ვარიკოზული ვენების განკურნების მეთოდია. ვარიკოზი ანუ ვენების ვარიკოზული გაგანიერება ვენების დაავადებაა, რომელიც იწვევს მათი სანათურის გაფართოებასა და ვენური კედლის გათხელებას. სტატისტიკურად ცნობილია, რომ ამ დაავადებით ქალები მამაკაცებთან შედარებით სამჯერ ხშირად ავადდებიან. ოფიციალური სტატისტიკით, ვარიკოზი აქვს 40 წელს გადაცილებულ ყოველ მესამე ქალსა და ყოველ მეათე მამაკაცს. რა არის ვარიკოზული ვენები, რა უწყობს ხელს ამ დაავადების გაჩენას და როგორ ვუმკურნალოთ ვარიკოზულ ვენებს? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ფერაძე საუბრობს.**

**ირაკლი ფერაძე:**

– ვარიკოზი ანუ ვენების ვარიკოზული გაგანიერება არის ვენების დაავადება, რომელიც იწვევს მათი სანათურის გაფართოებასა და ვენური კედლის გათხელებას.

***– რა არის დაავადების ხელშემწყობი ფაქტორები?***

– ამ დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ორსულობა, სიმსუქნე, ფეხზე დიდხანს დგომა ან ჯდომა, არააქტიური ცხოვრების წესი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცხელი აბაზანები, კიდურებზე მზისა და სითბოს ზემოქმედება კიდევ უფრო მეტად აფართოებს ვენებს. ზოგჯერ მდგომარეობას ართულებს ზოგიერთი პრეპარატი, მაგალითად, კონტრაცეპტივები.

***– როგორია ვენური უკმარისობის სიმპტომები?***

– ძირითადად, ვენური უკმარისობა ვლინდება სიმძიმის შეგრძნებით, რომელიც ძლიერდება დიდხანს დგომის ან ჯდომისას, მოგვიანებით თავს იჩენს გამბრჯენი ტკივილები წვივებში, კანის ქავილი და წვა, ღამის კრუნჩხვები. საგულისხმოა, რომ ვენური კვანძების რაოდენობა და სიდიდე არ არის დაავადების სიმძიმის მაჩვენებელი. მცირედ გამოხატული კვანძები და უმნიშვნელო შეშუპებაც მძიმე გართულებების წინამორბედია. პაციენტი შეიძლება არც უჩიოდეს ძლიერ დისკომფორტსა და ტკივილებს.



***– როგორ ვუმკურნალოთ ვარიკოზულ ვენებს?***

– თანამედროვე მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება, ამიტომ ვარიკოზული ვენების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი ინერგება. ჩვენს ცენტრში დაინერგა ვარიკოზის მკურნალობა ლაზერული ტექნიკის გამოყენებით. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც განაკვეთების საჭიროება აღარ არის. მას ეწოდება „ლაზერული აბლაცია“. მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაზიანებული ვენა, რომელიც განაკვეთის მეშვეობით უნდა ამოკვეთილიყო, სპეციალური ლაზერით პატარა ჩხვლეტის გზით ნადგურდება.

ლაზერული აბლაციის შედეგად კიდურებზე ნაწიბურები არ რჩება. მაღალტექნოლოგიური შუქგამტარი შედის დაზიანებულ ვენაში და „აუქმებს“ მას ჭრილობის გარეშე, ამასთან, ეს ლაზერის სხივი ისეთი სიხშირისაა, რომ სხვა ქსოვილებს არ აზიანებს. ამიტომ, ოპერაციისგან განსხვავებით, ეს პროცედურა ტარდება ადგილობრივი გაყუჩებით, აღარ არის საჭირო „დაძინება“ ზოგადი ან სპინალური „წელს ქვემოთ“ ანესთეზია. პაციენტი პროცედურის შემდეგ დგება და მიდის სახლში. შემცირებულია რეაბილიტაციის პერიოდი და ა.შ.

ლაზერული აბლაციის ის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელსაც ჩვენს ცენტრში ვფლობთ, უმეტეს შემთხვევებში იმავე ეფექტურობით აღმოფხვრის პათოლოგიას, როგორც ოპერაცია. ამავე დროს კი, ოპერაციისგან განსხვავებით, უაღრესად კომფორტულია პაციენტისთვის. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ჩარევების მიზანი სისხლის მიმოქცევის ნორმალიზება და აღწერილი გართულებების თავიდან აცილებაა. ვენური გამობერილობების გაქრობა ხდება თავისთავად, ვინაიდან ნადგურდება პათოლოგიურად შეცვლილი ვენა, მისი შენაკადებიც „იფუშება“ და იმ კოსმეტიკური პრობლემების 95% თავისთავად ქრება.

*სპორტი*

# დავით კაჭარავა — მომავალი ცენტურიონი სარაგბო სამყაროში

კიდევ ერთი მატჩი და დავით კაჭარავა მე-2 ქართველი მორაგბე იქნება, რომელიც ნაკრებში მე-100 კეპს მოიხვეჭს. გეხსომებათ, პირველი მსგავსი შემთხვევა მერაბ კვირიკაშვილმა გაახერხა, რომელსაც ეროვნულ გუნდში უკვე 103 მატჩი აქვს ნათამაშები.

ვებგვერდმა „ვორლდრაგბიმ“ სწორედ მომავალ ცენტურიონს მიუძღვნა სტატია.

– მას მერე, რაც ფრანგმა ფილიპ სელამ 100 კეპს უწია, მსოფლიო რაგბიში 45 ცენტურიონია. მეორე დონის სარაგბო ქვეყნებიდან კი, კარგა ხნის განმავლობაში მხოლოდ პორტუგალიელი ვასკო უვა იყო ერთადერთი, მაგრამ ახლა მას კომპანიას ქართველი მერაბ კვირიკაშვილი და რუმინელ ფლორინ ვლაიკუ უწევენ.

თუ რაიმე ისეთი გაუთვალისწინებელი არ მოხდა, რაც უელსელ მაიკ ფილიპსა და იტალიელ ალესანდრო ძანის დაემართათ, რომლებიც 99 კეპზე გაჩერდნენ, მათ რიგებს მალე კიდევ ერთი ქართველი შეავსებს – დავით კაჭარავა.

„ბორჯღალოსანთა“ იმ გუნდის წევრი, რომელმაც 2007 წელს საფრანგეთში ირლანდიას გავარიანი შიში აჭამა. კაჭარავამ ითამაშა 2011 და 2015 წლების მსოფლიოს თასებზეც. ინგლისში საქართველოს ნაკრებმა ისტორიულ წარმატებას მიაღწია, პულში მე-3 ადგილი დაიკავა და ამით იაპონიის საგზური გაინაღდა. დავითს იმედი აქვს, რომ ის 2019 წლის მსოფლიოს თასზეც იქნება მერაბ კვირიკაშვილთან ერთად.

– მერაბი ისტორიაში საუკეთესო ქართველი მორაგბეა. ის ჩვენი რეკორდსმენია ქულებით და მისი გამოცდილება ენით აუწერელია. მან უკვე ითამაშა მსოფლიოს 4 თასზე და იმედი მაქვს, რომ მეხუთეზეც გამოვა. ჩემი უდიდესი ოცნებაა, რომ საქართველოს ნაკრებმა 2019 წელს მეოთხედფინალის საგზური მოიპოვოს.

კაჭარავას დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ოდესაში 2006 წელს შედგა. დებიუტის მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ მორაგბეს ყველაფერი გუშინდელივით ახსოვს:



**დავით კაჭარავა:**

– ჩემი კარიერის დასაწყისში ამაზე არც კი მიფიქრია, მაგრამ ახლა ასე ახლოს ვარ მიზანთან. ეს ისეთი მიღწევა იქნება, რომლითაც უნდა იამაყო. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრებისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მალე ორი მორაგბე ცენტურიონი ეყოლება. თუმცა, ჯერ ერთი თამაში მაკლია მიზნამდე. რაგბიში კი, გარანტირებული არაფერია.

რომ არა ტრავმა, სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ, რაც კაჭარავას ხელს შეუშლის, რომ ცენტურიონი უკვე ივნისში გახდეს, როცა „ბორჯღალოსნებს“ ტურნე ამერიკაში ექნებათ – საქართველოს ნაკრები აშშ-სა და კანადას ეთამაშება. 32 წლის კაჭარავა ბოლო მატჩებშიც სასტარტო შემადგენლობაშია და ასაკის მიუხედავად, ის ისევ შედის მილტონ ჰეიგის გეგმებში.

– მიმაჩნია, რომ ჩვენი ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში გუნდისთვის ძალზე სასარგებლო იქნება. ამ გუნდებთან თამაშით ჩვენც ბევრს შევიძენთ. იმედი მაქვს, რომ საუკეთესო შემადგენლობით გავემგზავრებით ამერიკაში და იქ წარმატებული მატჩები გვექნება, ამბობს კაჭარავა.

კაჭარავა მხოლოდ ცენტურიონად გახდომას არ ისახავს მიზნად. მისი ოცნება მისთვის მეოთხე მსოფლიოს თასზე თამაშია. ის იყო

– საქართველოს ნაკრებში პირველად 2004 წელს ვითამაშე ბლუ ბულზის წინააღმდეგ თბილისში, მაგრამ ეს იყო არაოფიციალური შეხვედრა. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი დებიუტიც ეს მატჩი იყო. ჩემთვის ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში სასწაულის ტოლფასი იყო და ეს თამაშიც ისე მახსოვს, როგორც სასწაული.

2007 წლის მატჩი ირლანდიასთან, როცა „ბორჯღალოსნები“ ბორდოში 10:7-ს უგებდნენ მეტოქეს თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე, ისეთივე ემოციებს აღძრავს, როგორც სანაკრებო დებიუტი.

– ბრაიან ოდრისკოლი ჩემი კერპი იყო და მის წინააღმდეგ თამაში სასწაულის ტოლფასი იყო. ეს მატჩი, ალბათ, ჩემი ყველაზე საოცარი შეხვედრაა ეროვნულ ნაკრებში.

ნაკრებში 11-წლიანი კარიერის განმავლობაში კაჭარავა თავად იყო მონაწილე და მოწმე იმ საოცარი პროგრესის, რასაც საქართველოს ნაკრებმა მიაღწია:

– ქართული რაგბი ძალიან შეიცვალა. ის გახდა უფრო დინამიკური და თვალსასეირო. დღეს ნაკრების თითოეული წევრი ნამდვილი პროფესიონალი და ფიზიკურად სრულყოფილად მომზადებულია, მაგრამ ჩვენ კიდევ მეტის სწავლა და მიღწევა გვსურს. წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.


## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# აპენინები მადონინას მოლოდინში

მომავალ უქმეებზე მილანური დერბია – მადონინა. ინტერი საკუთარ მოედანზე მილანს დაუხვდება და ამ მატჩს, დერბის გარდა, სხვა პრინციპული მნიშვნელობაც აქვს – ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრას ლამობს.
ასევე მნიშვნელოვანი თამაშია ინგლისის პრემიერლიგაში, სადაც მანჩესტერი ლონდონის ჩელსის უმასპინძლებს.

## სტატისტიკა, ფსონები



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.04 ტოტენჰემი-ბორნმუთი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 15.04 კრ.პალასი-ლესტერი | 1.8 | 3.6 | 4.5 |
| 15.04 უოტფორდი-სუონსი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 15.04 ევერტონი-ბარნლი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 15.04 სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 15.04 სტოკი-ჰალი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 15.04 საუთჰემპტონი-სიტი | 4.4 | 3.8 | 1.75 |
| 16.04 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 16.04 მანჩესტერი-ჩელსი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 17.04 მიდლსბრო-არსენალი | 6.5 | 4.2 | 1.5 |

**ტოტენჰემი-ბორნმუთი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვანიამა, ჰარი უინკსი, დანი როუზი, ერიკ ლამელა

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ენდრიუ სარმანი, ადამ ფედერიკი, ქალუმ უილსონი

**კრ.პალასი-ლესტერი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტომკინსი, სკოტ დანი, ფრეიზერ კემბელი, ლიოკ რემი, კონორ უიკჰემი, პაპე სუარე

ლესტერი: ***ტრავმ***-ვილფრედ ნდიდი, ნამპალის მენდი

**უოტფორდი-სუონსი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-იუნის ქაბული, მაურო ზარატე, ბენ უოტსონი, რობერტო პერეირა; ***დისკვ***-მიგელ ბრიტოსი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეონ ბრაიტონი, ანჯელ რანგელი, ნათან დაიერი, ჯეკ კორკი

**ევერტონი-ბარნლი**

ევერტონი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი, სიმუს კოუმენი, რამირო მორი, ჯეიმს მაკკარტნი, იანიკ ბოლასიე

ბარნლი: ***ტრავმ***-შტივენ დეფო

**სანდერლენდი-ვესტ ჰემი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ბრიან ოვიედო, იან კირჰოფი, დანკან უიტმორი, პადი მაკნაირი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-აარონ კრესველი, უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი, მაკლ ანტონიო, ანჯელო ოგბონა, გოკჰან ტორე; ***დისკვ***-მარკ ნობლე

**სტოკი-ჰალი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჩარლი ადამი, ჯო ალენი

ჰალი: ***ტრავმ***-ომარ ალაბდელო, დომერკი მბოკანი, რაიან მეისონი, უილიამ კინი

**საუთჰემპტონი-სიტი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ვირჯილ ვან დინკი, ჩარლი ოსტინი, მატ ტარგეტი; ***დისკვ***-ორიოლ რომეუ

სიტი: ***ტრავმ***-ბაქარი სანია, გაბრიელ ჟესუსი, ილქაი გუნდოგანი

**ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

ლივერპული: ***ტრავმ***-სადიო მანე, ადამ ლალანა, ჯორდან ჰენდერსონი, ოვიე ეჯარია

**მანჩესტერი-ჩელსი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-დავიდ დე ხეა, ეშლი იანგი, ხუან მატა, კრის სმოლინგი, ფილ ჯონსი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

**მიდლსბრო-არსენალი**

მიდლსბრო: ***ტრავმ***-გასტონ რამირესი, ფაბიო

არსენალი: ***ტრავმ***-დავიდ ოსპინა, ლუკას პერესი, სანტი კაზორლა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 31 | 24 | 3 | 4 | 65-25 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 31 | 20 | 8 | 3 | 64-22 | 68 |
| 3.ლივერპული | 32 | 18 | 9 | 5 | 68-40 | 63 |
| 4.სიტი | 31 | 18 | 7 | 6 | 60-35 | 61 |
| 5.მანჩესტერი | 30 | 15 | 12 | 3 | 46-24 | 57 |
| 6.არსენალი | 30 | 16 | 6 | 8 | 61-39 | 54 |
| 7.ევერტონი | 32 | 15 | 9 | 8 | 57-36 | 54 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 12 | 8 | 12 | 39-41 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 30 | 11 | 7 | 12 | 37-37 | 40 |
| 10.უოტფორდი | 31 | 10 | 7 | 14 | 36-52 | 37 |
| 11.ლესტერი | 31 | 10 | 6 | 15 | 39-51 | 36 |
| 12.ბარნლი | 32 | 10 | 6 | 16 | 32-44 | 36 |
| 13.სტოკი | 32 | 9 | 9 | 14 | 34-47 | 36 |
| 14.ვესტ ჰემი | 32 | 10 | 6 | 16 | 42-57 | 36 |
| 15.ბორნმუთი | 32 | 9 | 8 | 15 | 45-59 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 31 | 10 | 4 | 17 | 42-50 | 34 |
| 17.ჰალი | 32 | 8 | 6 | 18 | 33-64 | 30 |
| 18.სუონსი | 32 | 8 | 4 | 20 | 37-67 | 28 |
| 19.მიდლსბრო | 31 | 4 | 12 | 15 | 22-37 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 31 | 5 | 5 | 21 | 24-56 | 20 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.04 დეპორტივო-მალაგა | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 15.04 ხიხონი-რეალი | 7.0 | 5.0 | 1.4 |
| 15.04 ატლეტიკო-ოსასუნა | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 15.04 ბარსელონა-სოსიედადი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 16.04 ლეგანესი-ესპანიოლი | 2.15 | 3.0 | 3.75 |
| 16.04 ვალენსია-სევილია | 2.5 | 3.6 | 2.62 |
| 16.04 ბეტისი-ეიბარი | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 16.04 გრანადა-სელტა | 2.75 | 3.3 | 2.5 |
| 17.04 ალავესი-ვილიარეალი | 1.9 | 3.0 | 2.6 |

**დეპორტივო-მალაგა**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ფერნანდო ნავარო

მალაგა: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა, ხუანპი, ბაქარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი; ***დისკვ***-ფედერიკო რიკა

**ხიხონი-რეალი**

ხიხონი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ბურგუი

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, რაფაელ ვარანი

**ატლეტიკო-ოსასუნა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სიმე ვრსალკო, ტიაგო, აუგუსტო ფერნანდესი

ოსასუნა: ***ტრავმ***-ემანუელ რივიერე, უნაი გარსია, ტანო ბონინი, მიგელ ფლანო, ხავიერ ფლანო, დიდიე დიუგარი

**ბარსელონა-სოსიედადი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია, ალექსის ვიდალი; ***დისკვ***-ნეიმარი

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი; ***დისკვ***-ხუანმი ხიმენესი

**ლეგანესი-ესპანიოლი**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ოსკარ დუარტე; ***დისკვ***-ვიქტორ სანჩესი

**ვალენსია-სევილია**

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო მორენო

სევილია: ***ტრავმ***-სამირ ნასრი, ადილ რამი, კარლოს ფერნანდესი; ***დისკვ***-მატიას კრავენტიე

**ბეტისი-ეიბარი**

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი: ***ტრავმ***-ანაიც არბილია, ფრან რიკო, ნანო

**გრანადა-სელტა**

გრანადა: ***ტრავმ***-ადრიან რამოსი

სელტა: ***ტრავმ***-ჯუზეპე როსი

**ალავესი-ვილიარეალი**

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ზუჰარ ფედალი, ედგარი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სამუ, სერხიო ასენხიო, დენის ჩერიშევი; ***დისკვ***-რობერტო სოლდადო, ვიქტორ რუისი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 30 | 22 | 6 | 2 | 79-31 | 72 |
| 2.ბარსელონა | 31 | 21 | 6 | 4 | 88-28 | 69 |
| 3.ატლეტიკო | 31 | 18 | 8 | 5 | 56-24 | 62 |
| 4.სევილია | 31 | 18 | 7 | 6 | 56-39 | 61 |
| 5.ვილიარეალი | 31 | 15 | 9 | 7 | 45-24 | 54 |
| 6.სოსიედადი | 31 | 16 | 4 | 11 | 46-42 | 52 |
| 7.ეიბარი | 31 | 14 | 8 | 9 | 52-42 | 50 |
| 8.ბილბაო | 31 | 15 | 5 | 11 | 40-36 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 31 | 12 | 10 | 9 | 43-42 | 46 |
| 10.სელტა | 30 | 12 | 5 | 13 | 45-51 | 41 |
| 11.ალავესი | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 12.ვალენსია | 31 | 11 | 6 | 14 | 47-54 | 39 |
| 13.ლას პალმასი | 31 | 10 | 8 | 13 | 50-52 | 38 |
| 14.მალაგა | 31 | 8 | 9 | 14 | 36-47 | 33 |
| 15.ბეტისი | 31 | 8 | 7 | 16 | 33-51 | 31 |
| 16.დეპორტივო | 31 | 6 | 10 | 15 | 33-50 | 28 |
| 17.ლეგანესი | 31 | 6 | 9 | 16 | 26-48 | 27 |
| 18.ხიხონი | 31 | 5 | 7 | 19 | 32-61 | 22 |
| 19.გრანადა | 31 | 4 | 8 | 19 | 27-65 | 20 |
| 20.ოსასუნა | 31 | 3 | 8 | 20 | 32-70 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.04 მაინცი-ჰერტა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 15.04 აუგსბურგი-კიოლნი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 15.04 ლაიფციგი-ფრაიბურგი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 15.04 დორტმუნდი-აინტრახტი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 15.04 ჰოფენჰაიმი-გლადბახი | 2.0 | 3.75 | 3.4 |
| 15.04 ვოლფსბურგი-ინგოლშტადი | | 2.05 | 3.4 |
| 3.6 | | | |
| 15.04 ლევერკუზენი-ბაიერნი | 5.0 | 4.2 | 1.61 |
| 16.04 ვერდერი-ჰამბურგი | 2.1 | 3.6 | 3.3 |
| 16.04 დარმშტადი-შალკე | 5.0 | 4.0 | 1.65 |

**მაინცი-ჰერტა**

მაინცი: ***ტრავმ***-გაეტან ბუსმანი

ჰერტა: ***ტრავმ***-მიშელ ვეიზერი, ონდრეი დუდა, ფაბიან ლუსტენბერგი, ჯულიან შიბერი, სინან კურტი

**აუგსბურგი-კიოლნი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-რაფაელ ფლამბერგი

კიოლნი: ***ტრავმ***-იუია ოსაკო, სერხიო გუირასი, მარსელ რიისე

**ლაიფციგი-ფრაიბურგი**

ლაიფციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმილიან ფილიპი, მარკ ტორეხონი, იონას ფორენბახი

**დორტმუნდი-აინტრახტი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ანდრე შურლე, ჯულიან ვეიგი, ერიკ დარმი, სებასტიან როდე, მარკო როისი, მარიო გიოტცე

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, მაკოტო ჰასებე

**ჰოფენჰაიმი-გლადბახი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

გლადბახი: ***ტრავმ***-კრისტოფ კრამერი, ნიკო შულცი, ფაბიან ჯონსონი

**ვოლფსბურგი-ინგოლშტადი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-რიკარდო როდრიგესი, ჯუსტინ მობიუსი, პოლ ნტეპი, კრისტიან ტრაში, დიეგო ბენალიო

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი, მორის ჰარტმანი

**ლევერკუზენი-ბაიერნი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჯონათან ტა, ლარს ბენდერი, ჰაკან ჩალანოღლუ

ბაიერნი: ***ტრავმ***-რობერტ ლევანდოვსკი

**ვერდერი-ჰამბურგი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ტომას დელანეი, ლამინე სანე, რობერტ ბაუერი, მაქსიმილიამ ეგეშტეინი, სერჟ გნაბრი, კლემენს ფრიცი, იზეტ ჰაიროვიჩი, სამბუ იატარაბე

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, რენე ადლერი, გიდეონ იუნგი, ნიკოლა მიულერი, იოან ჯურუ

**დარმშტადი-შალკე**

დარმშტადი: ***ტრავმ***-პეტერ ნიემეიერი, დენის ოლეინიკი

შალკე: ***ტრავმ***-დენის აოგო, ნალდო, ბაბა რაჰმანი, ბრეელ ემბოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 21 | 5 | 2 | 71-15 | 68 |
| 2.ლაიპციგი | 28 | 18 | 4 | 6 | 51-30 | 58 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 28 | 13 | 12 | 3 | 51-28 | 51 |
| 4.დორტმუნდი | 28 | 14 | 8 | 6 | 59-32 | 50 |
| 5.ჰერტა | 28 | 13 | 4 | 11 | 37-34 | 43 |
| 6.ფრაიბურგი | 28 | 12 | 5 | 11 | 36-47 | 41 |
| 7.კიოლნი | 28 | 10 | 10 | 8 | 41-34 | 40 |
| 8.გლადბახი | 28 | 11 | 6 | 11 | 34-36 | 39 |
| 9.აინტრახტი | 28 | 10 | 8 | 10 | 28-30 | 38 |
| 10.შალკე | 28 | 10 | 7 | 11 | 37-32 | 37 |
| 11.ვერდერი | 28 | 10 | 6 | 12 | 44-48 | 36 |
| 12.ლევერკუზენი | 28 | 10 | 5 | 13 | 42-44 | 35 |
| 13.ჰამბურგი | 28 | 9 | 6 | 13 | 28-51 | 33 |
| 14.ვოლფსბურგი | 28 | 8 | 6 | 14 | 27-42 | 30 |
| 15.მაინცი | 28 | 8 | 5 | 15 | 36-47 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 28 | 7 | 8 | 13 | 26-45 | 29 |
| 17.ინგოლშტადტი | 28 | 8 | 4 | 16 | 31-47 | 28 |
| 18.დარმშტადტი | 28 | 4 | 3 | 21 | 19-56 | 15 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.04 ინტერი-მილანი | 2.1 | 3.6 | 3.3 |
| 15.04 პესკარა-იუვენტუსი | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 15.04 ფიორენტინა-ემპოლი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 15.04 კალიარი-კიევო | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 15.04 პალერმო-ბოლონია | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 15.04 ტორინო-კროტონე | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 15.04 ჯენოა-ლაციო | 4.5 | 4.0 | 1.7 |
| 15.04 რომა-ატალანტა | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 15.04 სასუოლო-სამპდორია | 2.2 | 3.6 | 3.1 |
| 15.04 ნაპოლი-უდინეზე | 1.25 | 6.0 | 11.0 |

**ინტერი-მილანი**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

მილანი: ***ტრავმ***-ანდრეა ბერტოლაჩი, იგნასიო აბატე, ჯაკომო ბონავენტურა, რიკარდო მონტოლივო

**პესკარა-იუვენტუსი**

პესკარა: ***ტრავმ***-გულიელმო სტენდარდო, დავიდე ვიტურინი, სიმონე პეპე, ალბერტო ჯილარდინო; ***დისკვ***-ჩეზარე ბოვო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარკო პიაცა; ***დისკვ***-ლეონარდო ბონუჩი

**ფიორენტინა-ემპოლი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-უროს კოსიჩი

**კალიარი-კიევო**

კალიარი: ***ტრავმ***-დანიელე დესინა, ფედერიკო მელხიორი; ***დისკვ***-ფაბიო პისაცანე

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

**პალერმო-ბოლონია**

პალერმო: ***ტრავმ***-კარლოს ემბალო, სლობოდან რაიკოვიჩი; ***დისკვ***-ჯანკარლო გონსალესი

ბოლონია: ***ტრავმ***-ფილიპ ჰელარდერი

**ტორინო-კროტონე**

ტორინო: ***ტრავმ***-ლეანდრო გასტანი, კრისტიან მოლინარო, ხუან იტურბე, ჯოელ ობი; ***დისკვ***აფრიე ასქუა

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

**ჯენოა-ლაციო**

ჯენოა: ***ტრავმ***-არმანდო იზო, მატია პერინი; ***დისკვ***-ისააკ კოფი, მაურისიო პინალია

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი

**რომა-ატალანტა**

რომა: ***ტრავმ***-ალესანდრო ფლორენცი

ატალანტა: ***ტრავმ***-ლეონარდო სპინალოზა; ***დისკვ***-ალეხანდრო გომესი

**სასუოლო-სამპდორია**

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა, ლუის მურიელი

**ნაპოლი-უდინეზე**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ტონელი

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირი, სეკო ფოფანა, ასანე გნოკური, დავიდე ფარაონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 25 | 2 | 4 | 62-20 | 77 |
| 2.რომა | 31 | 23 | 2 | 6 | 69-26 | 71 |
| 3.ნაპოლი | 31 | 20 | 7 | 4 | 72-33 | 67 |
| 4.ლაციო | 31 | 18 | 6 | 7 | 52-34 | 60 |
| 5.ატალანტა | 31 | 18 | 5 | 8 | 52-34 | 59 |
| 6.მილანი | 31 | 17 | 6 | 8 | 47-33 | 57 |
| 7.ინტერი | 31 | 17 | 4 | 10 | 57-35 | 55 |
| 8.ფიორენტინა | 31 | 14 | 10 | 7 | 49-39 | 52 |
| 9.სამპდორია | 31 | 12 | 9 | 10 | 39-37 | 45 |
| 10.ტორინო | 31 | 11 | 11 | 9 | 59-52 | 44 |
| 11.უდინეზე | 31 | 11 | 7 | 13 | 41-40 | 40 |
| 12.კიევო | 31 | 11 | 5 | 15 | 35-45 | 38 |
| 13.კალიარი | 31 | 10 | 5 | 16 | 41-62 | 35 |
| 14.ბოლონია | 31 | 9 | 7 | 15 | 29-46 | 34 |
| 15.სასუოლო | 31 | 9 | 5 | 17 | 38-49 | 32 |
| 16.ჯენოა | 31 | 7 | 8 | 16 | 30-51 | 29 |
| 17.ემპოლი | 31 | 5 | 8 | 18 | 18-49 | 23 |
| 18.კროტონე | 31 | 5 | 5 | 21 | 25-51 | 20 |
| 19.პალერმო | 31 | 3 | 6 | 22 | 25-67 | 15 |
| 20.პესკარა | 31 | 2 | 8 | 21 | 31-68 | 14 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.04 მონაკო-დიჟონი | 1.25 | 6.0 | 10.0 |
| 15.04 ნიცა-ნანსი | 1.6 | 3.6 | 5.5 |
| 15.04 რენი-ლილი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 15.04 მონპელიე-ლორიანი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 15.04 გენგამი-ტულუზა | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 15.04 მეცი-კაენი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 16.04 ნანტი-ბორდო | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 16.04 ბასტია-ლიონი | 6.0 | 4.2 | 1.53 |
| 16.04 მარსელი-სტ.ეტიენი | 1.85 | 3.4 | 4.4 |

**მონაკო-დიჟონი**

მონაკო: ***ტრავმ***-ბოშილია, გვიდო კარილო

დიჟონი: ***ტრავმ***-ფლორენ ბალმო, ფუად ჩაფიკი, მარვინ მარტინი, პიერ მელო

**ნიცა-ნანსი**

ნიცა: ***ტრავმ***-მუნირ ობადი, პოლ ბისი, ვილიამ კიპრიენი, ალასანე პლეა

ნანსი: ***ტრავმ***-იუსუფ აიტ ბენასიე, ტობიას ბადილა

**რენი-ლილი**

რენი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმაორო, მარკო ბასა

**მონპელიე-ლორიანი**

მონპელიე: ***ტრავმ***-პოლ ლანსე, უილიამ რემი, ჯონათან იკონე, იორის მავრო, კაზიმირ ნინგა

ლორიანი: ***ტრავმ***-ვალიდ მესლობი

**გენგამი-ტულუზა**

გენგამი: ***ტრავმ***-ნიკოლას ბენეზეტი

ტულუზა: ***ტრავმ***-კლემენტ მიჩელინი, დუშან ვეშკოვაჩი

**მეცი-კაენი**

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

კაენი: ***ტრავმ***-ემანუელ იმოროუ, ჯონათან დელაპლასე, მუჰამადუ დაბო

**ნანტი-ბორდო**

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე, იუსუფ საბალი, ტომას ტურე

**ბასტია-ლიონი**

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან მირანჯე, ენცო კრიველი, სებასტიან სკილაჩი

ლიონი: ***ტრავმ***-მაციე რიბუსი

**მარსელი-სტ.ეტიენი**

მარსელი: ***ტრავმ***-პატრის ევრა, აბუ დიაბი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, კევინ მალკო, ფლორენტინ პოგბა, ალექსანდერ სოდერლუნდი, ოსამა ტანანე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 31 | 23 | 5 | 3 | 88-26 | 74 |
| 2.პსჟ | 31 | 22 | 5 | 4 | 64-21 | 71 |
| 3.ნიცა | 32 | 20 | 10 | 2 | 52-26 | 70 |
| 4.ლიონი | 32 | 17 | 3 | 12 | 65-39 | 54 |
| 5.ბორდო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6.მარსელი | 32 | 13 | 9 | 10 | 44-38 | 48 |
| 7.სტ.ეტიენი | 31 | 11 | 12 | 8 | 35-25 | 45 |
| 8.ნანტი | 32 | 11 | 9 | 12 | 31-46 | 42 |
| 9.ტულუზა | 32 | 10 | 11 | 11 | 33-33 | 41 |
| 10.გენგამი | 32 | 11 | 8 | 13 | 38-43 | 41 |
| 11.რენი | 32 | 9 | 13 | 10 | 29-37 | 40 |
| 12.ანჟე | 32 | 11 | 6 | 15 | 32-41 | 39 |
| 13.ლილი | 32 | 10 | 7 | 15 | 31-39 | 37 |
| 14.მონპელიე | 32 | 9 | 9 | 14 | 45-55 | 36 |
| 15.მეცი | 31 | 9 | 8 | 14 | 29-59 | 35 |
| 16.კაენი | 32 | 9 | 5 | 18 | 31-54 | 32 |
| 17.ნანსი | 32 | 8 | 7 | 17 | 24-41 | 31 |
| 18.ლორიანი | 32 | 9 | 4 | 19 | 37-62 | 31 |
| 19.დიჟონი | 32 | 6 | 11 | 15 | 40-50 | 29 |
| 20.ბასტია | 32 | 6 | 10 | 16 | 26-46 | 28 |

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

### ორშაბათი 17 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 ქართ. ტ/ფ "ხევსურები"(რეჟ. ვ. ზუბაშვილი) 10.00 "ქართ. დოკუმენტალისტიკა"- "საქართველოს იმედი" 11.00 ქართ. ტ/ფ "რამდენიმე სურათი" ილიას ცხოვრებიდან" (რეჟ. ო.გვასალია) 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ქართ. მხ/ფ "ლაზარეს თავგადასავალი" 13.30 "გურმანია" 14.00 "წიგნების თარო" 14.30 "ქართ. დოკუმენტალისტიკა"– ექვთიმე თაყაიშვილი 16.30 ქართ. მხ/ფ "ფიროსმანი" 18.00 "ეპოქა"- ვაზში დაკარგულები 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.30 ქართ. მხ/ფ "იყო შაშვი მგალობელი" 22.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 22.20ჯანსულ კახიძის სიმღერები 23.50 მხ/ფ "სპარტაკი" (კ.დუგლასი)

